გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
სამშაბათი, 28 ივნისი, 2005 წელი.
№151 (5184)

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგინდაც ბოჭდეული სიტყვაა, ფლეიფლებით და ჭიტებით ბუტბის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

ჩვენ ევროპელები ვართ და ევროპულად უნდა ვიმუშაოთ

მთელ საქართველოს ლამბადას „აცეკვებენ“. თითქოს მართლა საცეკვაოდ ჰქონოდეს საქმე. ლამბადა ყველგან: ქუჩაში, პარლამენტში, ტელეეკრანზე, ესტრადაზე, „ნიკალაში“, უნივერსიტეტში, ცხინვალის რეგიონში.

მერე, გვეცეკვება?

იხ. მე-3 გვ.

◎ ანონსი

ჩემო გოლგოთავ და სამოთხევ,
ცოდვაში ნაულულხარ ეველამდე,
დირს ხარ, თუ ლაგამს ამოგდებს
ცხვირში რგოლგაერილი ბელადი.

ეს მწარე სიტყვები შესანიშნავმა პოეტმა და მოქალაქემ თოთა ნიმნიანიძემ ამ თორმეტი-ცამეტი წლის წინათ ამოკვნესა თავის სათაყვანებელ სამშობლოში იმ დროს არსებული უმძიმესი ვითარებისა გამო.

ვისი თუ რისი ბრალი იყო მაშინდელი მართლაც აუტანელი მდგომარეობა? უმაღლესი ხელისუფლის? მთავრობის? პარლამენტის? კორუფციის, ურთიერთგაუგებლობის, ღალატის თუ უამრავი სხვა უგვანობის?

იქნებ ჩვენ, ხალხი ვიყავით ყველაფრის თავიდათავი მიზეზი? სწორედ ჩვენ არ ავირჩიეთ ის უმაღლესი ხელისუფალიც, პარლამენტიც და მთავრობაც? იქნებ ჩვენი უსიგყვო, ხშირად მონური მორჩილებითაც ვუხსნიდით გზას ყველა მაშინდელ უკეთურობას?

დღეს რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? გვაინტერესებს? მაშინ წაიკითხოთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ხვალინდელ ნომერში ცნობილი ჟურნალისტის **თემურ ქორიძის** პუბლიცისტური სტატია „PLEBS“ და ვნახოთ, მართალია თუ არა ავტორი, როდესაც წერს: „მოკლედ, მე ვარ პლებსი, ვარ მართლაც რეალურად არსებული უმრავლესობა და, ნუ გაგიკვირდებათ, ხელისუფლება მოქმედებს ჩემი კარნახით, ჩემი წაქეზებით, ჩემი მდუმარე ან სიტყვიერი დასტურით. არ გჯერათ?..“

ვისაც არ გჯერათ, წაიკითხეთ, ხოლო ვისაც გვჯერა, გაგვაგარეთ ხვალ საგაზეთო ჯიხურებისკენ!



◎ ოპოზიცია

ეკლესია, სიკვი ულაკი და ანალი თავეჯლოკარ

მე, პირადად, იმაზე მოსაწყენ ღონისძიებად არაფერი მიმაჩნია, ვიდრე პარტიის ყრილობაა, მაშინაც კი, როცა ეს რესპუბლიკური პარტიის თავშეყრაა.

რესპუბლიკელებს არც ცნობილი სახეები აკლიათ, არც – ინტელექტუალური პოტენციალი. ეს უდავოა, მაგრამ პარტია მაინც არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიძლიერით. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ახალი თავმჯდომარისგან სწორედ პარტიის გაძლიერებას მოელიან. ივლიანე ხაინდრავა და დავით ბერძენიშვილი ცნობილი პოლიტიკოსები არიან, მაგრამ მათი ხელმძღვანელობისას პარტიას ერთი რამ აკლდა – სწორი მენეჯმენტი. დავით უსუფაშვილმა სწორედ ეს უნდა გამოასწოროს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

ტონი ბლერმა მხარი დაუჭირა დიდ ბრიტანეთში პირადობის მოწმობის შემოღებას ბიომეტრიული მონაცემებით. ბლერმა თავის რეზიდენციაში ყოველთვიური პრესკონფერენციის მონაწილეებს შეახსენა, რომ ჩქარა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები გადავლენ პასპორტზე მათი მფლობელის ბიომეტრიული მონაცემებით: თითების ანაბეჭდებით, სახის ოვალის სკანირებით და ინფორმაციით თვალების ფერის შესახებ.

* * *

დღეს რიგაში ნაცისტური კონცლაგერის ტყვეთა ძეგლს გახსნიან. მისი აგებისათვის საჭირო თანხა რიგის საქალაქო სათათბირომ, გერმანიის საელჩომ და გერმანიის ქალაქ მიუნსტერის ორგანიზაცია Pax Christi-მ გაიღეს.

* * *

ისრაელმა ოფიციალურად მოუხადა ბოდიში ახალ ზელანდიას ჯაშუშური სკანდალისათვის. ამის შესახებ განაცხადა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა ელენ კლარკმა, რომლის აზრითაც კანონის დამრღვევნი ისრაელის პრესსამსახურების თანამშრომლები არიან. ამით წერგილი დაუსვა სკანდალს, რომელმაც 11 თვის წინათ ვეელინგტონი აიძულა გაეყინა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან.

* * *

დიდი რვაანის ლიდერთა ცოლებს სამიგზე „ქარიშხლიანი წარსულის მქონე გრაფი“ გაართობს გლემისის ცისკოშში. ეს კაცი დედოფლის ბრწყინვალე ბიძაშვილი გახლავთ.

◎ მთელი ხმით!

რიგიერ ემსიბა მამული, შეეცქერით ქილიკ-ქილიკით...

ჯერ „მიქაელმიტლებს“ მიეენდეთ,
ახლა კი „ნაცმიტაიბას“,
ნელ-ნელა დედა ვუფიტეთ
ჩვენს „მეიბას“ და „ტაიბას“,
ცაშს ვუკტავთ ხელისუფლებას,
მის საქციელს და მის ნებას,
დავკარგეთ, წყალს გავაგანეთ
მამაპაპეული ღიტსება.
ტიგიტ ემსიბა მამული,
შეეცქერით ქილიკ-ქილიკით,
იმლება, ქტება ცაბტისკენ
სავალი გზა და ბილიკი.
თუ ტამე ეტიენლია
სპიბენ (ეტთბამშად ვეტ ზიდეს),
ანგტეკენ ჯავახიშვილის,
მანიბის ენიეტსიფეტს!..
ხელისუფლება თქვენია,
მამ, ატ ჩამიტჩეთ ეტთმანეთს,
თან, ხმიტად (ატ დაგავიწყდეთ),
აღმაშენებელს ეზმანეთ!..

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲯᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

◎ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲐ!

რეფორმა ჩისში შევიდა...

განკითხვის დღე ჰქონდა გუშინ თბილისის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბაგონ რუსუდან ლორთქიფანიძეს.

გულწრფელად შემეცოდა რექტორიც და „ბაგონი უნივერსიტეტიც“ – ქართველი ერის სათაყვანებელი ტაძარი.

სააქტო დარბაზში შეკრებილ ასობით პროფესორ-მასწავლებელს, სტუდენტს, მოწვეულ ჟურნალისტებს დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ სცემდა რექტორი. ხელისუფლების უყურადღებობისგან გაღიზიანებული უნივერსიტეტელები, საბედნიეროდ, არც ალაპარაკებდნენ ქალბაგონ რუსუდანს, წინადადებას არ ასრულებინებდნენ. მდგომარეობა მას შემდეგ აირია, როცა მან ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა ბოლომდე გააზრებული არა მაქვს და თქვენგან ველოდები კონკრეტულ წინადადებებსო!

– თუ განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა გააზრებული არ გქონდათ რექტორობას რაგომ დასთანხმდით?

– რეფორმა ნგრევას როდი ნიშნავს. ნუთუ ვერ ხედებთ, რომ ვირეფორმატორების მითითებებს ბრმად ემორჩილებით?

– ვინ გასცემს პასუხს იმ 800 თანამშრომელს, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მალულად, ცინიკურად გაათავისუფლა და დამსახურებულმა ხალხმა (მათ შორის ბევრმა ახალგაზრდამ!) სალაროსთან, ხელფასის რიგში შეიტყო რომ უნივერსიტეტიდან დათხოვნილი იყო?

– საქართველო ეკონომიკურად არის ჩამორჩენილი, განვითარებადი ქვეყანა, თორემ განათლებითა და კულტურით დღესაც მოწინავე პოზიციებზე დგას. რომელი საზღვარგარეთული დეკლარაციით განგვისაზღვრეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ 6 ფაკულტეტი იყოს?

– რა მოგივით დაიხურა, თითოოროლა გამონაკლისს გარდა, თითქმის ყველა კაბინეტი და სამეცნიერო ლაბორატორია?

იხ. მე-2 გვ.

◎ ᲬᲘᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ!

გამარჯვების გზებზე ვდგებით

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ მოსკოვის 2005 წლის ახალგაზრდული საერთაშორისო სპორტული თამაშები, რომელშიც დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების, ასევე, ჩინეთისა და სინგაპურის ჭაბუკი ათლეტები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრებმა საერთო გუნდური IV ადგილი დაიკავა. პირად პირველობებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ბაინდურაშვილი (82 კგ., სამბო), მიხეილ თურქაძე (100, სამბო), რევაზ ლაშხი (55, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), შმაგი სალთხუციშვილი (74, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ლაშა ტვილდიანი (55, ძიუდო); ვერცხლის მედლები ხვდათ ჭელა სანიკიძეს (62, სამბო), ლევან ფილოიანს (96, თავისუფალი ჭიდაობა), აკაკი ჯოხაძეს (84, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ომარ ბოლქვაძეს (მძიმე წონა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), დავით ასუმბანს (60, ძიუდო) და გიორგი შოშიაშვილს (66, ძიუდო), ხოლო ლევან კოჩიევი (57), ლევან ქორქოლიანი (90), ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა, სამიევ – სამბო), თორნიკე ჯანელიძე (60), მარადი სურმანიძე (66), გივი მორჩილაძე (96, სამიევ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი მჭედლიშვილი (73), ალექსანდრე მასურაძე (90), ადამ ოქრუაშვილი (მძიმე წონა, სამიევ – ძიუდო) და მამუკა ტუღუში (ბირთვის კვრა) „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ. კალათბურთელმა ვაჟებმა IV ადგილი დაიკავეს, მხატვრული ტანმოვარჯიშეები კი V ადგილზე გავიდნენ.

იხ. მე-7 გვ.

◎ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

„ᲘᲛᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ“ „ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲡ“ ᲜᲘᲜᲐᲚᲓᲔᲑᲘ

იხ. მე-2 გვ.

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ ᲐᲠ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ...

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას ე. წ. ყვანიას გუნდის წევრების რესპუბლიკურ პარტიაში გადასვლასთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადება ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი განცხადებით, იგი აღნიშნულ საკითხზე პროგნოზების გაკეთებას არ აპირებს და აცხადებს, რომ ამის შესახებ არაფერი სმენია.

პარლამენტის თავმჯდომარე მიესალმება ძლიერი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას საქართველოში.

იგი აცხადებს, რომ ითანამშრომლებს ყველა იმ პოლიტიკურ ოპოზიციურ ძალასთან, რომელსაც მოსახლეობის მხარდაჭერა ექნება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ.

ᲛᲝᲥᲐᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ – ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲮᲔᲚᲘᲣᲛᲑᲐᲠᲐ – ᲡᲘᲛᲮᲕᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚᲘ

საქართველოს შს სამინისტრო კომენტარს არ აკეთებს 10 მაისს თავისუფლების მოედანზე აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლისას ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილის შესაძლო აღმოჩენის თაობაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, თავისუფლების მოედანზე გადაღებული ვიდეომასალიდან გამოძიებამ შესაძლოა ამოიცნოს პრეზიდენტების გამოსვლის დროს ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილი პირი. გავრცელდა ცნობა იმის შესახებაც, რომ უკვე შედგენილია სავარაუდო ეჭვმიტანილის ფოტო-რობოტი. ეს არის დაახლოებით 30 წლის შავგვრემანი, მელოტი მამაკაცი, მოგრძო ცხვირით.

სამართალდამცველები, სავარაუდოდ, ბულგარელი ეროვნების მოქალაქეს ეძებენ. თუმცა, სოფიის საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, ქართველ კოლეგებს ბულგარეთის ინტერპოლის ხელმძღვანელ პეტარ ჩრიცოვისთვის დახმარებისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავთ.

10 მაისს თავისუფლების მოედანზე აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლისას უცნობმა პირმა ტრიბუნისკენ „რედ“-ს ტიპის ხელყუმბარა ისროლა. სომხური წარმოების ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში იყო, თუმცა იგი შემთხვევითობის წყალობით არ აფეთქდა.

ქართველი სამართალდამცველები და აშშ-ს ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები ამ ინციდენტს ერთობლივად იძიებენ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ.

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲓᲐᲔᲛᲣᲨᲘᲚᲝᲑᲔᲗ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲐᲖᲔᲑᲡ!

„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ არალეგალური კომერციული ხაზებით მომხმარებლის ელექტრომომარაგებას არ დაუშვებს. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კომპანიის ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა განაცხადა.

როგორც კიკალიშვილმა თქვა, ზუგდიდში არსებული 600 ტრანსფორმატორიდან გამორთულია 150, რადგან მომხმარებლებს ერთდროულად ელექტრომომარაგების რამდენიმე წყაროთ არალეგალურად სხვადასხვა ტრანსფორმატორიდან ჰქონდათ გამოყვანილი.

„არალეგალური ე. წ. კომერციული ხაზების ჩაჭრა საქართველოს ყველა რეგიონში მიმდინარეობს. ეს პროცესი ერთ კვირაში დასრულდება. არალეგალურ ხაზებს შეიძლება კორუფციული ხაზებიც ვუწოდოთ, რადგან ამ ხაზების მეშვეობით ფული არალეგალურად კეთდებოდა“, -— განაცხადა კიკალიშვილმა.

მისი თქმით, აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ელექტროენერგიის არალეგალური მოხმარება ისჯება, თუმცა კომპანიამ არალეგალური ხაზების ჩაჭრამდე მორატორიუმი გამოაცხადა.

არალეგალური ხაზების ჩაჭრა საქართველოს მასშტაბით ერთ კვირაში დასრულდება. ამის შემდეგ თუ კიდევ დაფიქსირდა ელექტროენერგიის არალეგალური ხაზით მოხმარების ფაქტები, მაშინ ეს შესაბამისად დაისჯება.

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲪᲐᲒᲔᲠᲨᲘ

გუშინ დილიდან ხმაური ისმოდა ცაგერის რაიონულ ცენტრში. დაახლოებით 300-მდე კაცმა ავტომაგისტრალი სამი საათით გადაკეტა. ამჟამად აქციის მონაწილეები, რომლებიც ელექტროენერგიას ითხოვენ, გამგეობის შენობასთან მივიდნენ. მოსახლეობას შეხვდა რაჭასა და ქვემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ოთარ სირაძე, რომელმაც აქციის მონაწილეებს დაშლისკენ და ელექტროენერგიის საფასურის გადახდისკენ მოუწოდა. აღგილობრივები დაშლას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ ისინი იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველ მაღალმთიან რეგიონს წარმოადგენენ, შეღავათს იმსახურებენ.

ცაგერის რაიონის 80 პროცენტი „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“ დავალიანების გამო ხუთი დღის წინათ გამორთო.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ.

◎ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ, ᲮᲔᲚᲘᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ!

ᲕᲘᲡᲐᲪ მისი „ჩაძირვა“ უნდოდა, მის ჯიბრზე გამოვიდა „ცისკარი“ (ჯერჯერობით გაზეთი). მაინც გამოვიდა!

იხ. მე-6 გვ.

№ 151. სამშაბათი, 28 ივნისი, 2005 წელი.

◎ ყრილობა

„იგორისტები“ „მიშიზმის“ წინააღმდეგ

გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის“ III რიგგარეშე ყრილობა გაიმართა

მეჩხერ დარბაზში ხალხი საქართველოს ყველა რეგიონიდან შეკრებილიყო. რაგომღაც მოხუცებს უფრო ველოდით, არადა, ახალგაზრდები სჭარბობდნენ.

პარტიის დროშების ფონზე, შემოთ, იგორ გიორგაძის სურათი ეკიდა წარწერით: „დავდგეთ ერთად საქართველოსთვის“.

ყრილობას, მთელი მსვლელობის მანძილზე, ლაღმეტრივად ვასდევდა იგორ გიორგაძის უღანაშაულობის და მისი დარღვეული ადამიანური უფლებების აღდგენის საკითხი.

მრავალად იყვნენ წარმომადგენლები კახეთის რეგიონიდან. გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხეილ შიშნაშვილი გვეუბნება: – ჩვენ მემარცხენე-ცენტრისტები ვართ. არჩევნები ახლოდება. იგორ გიორგაძეს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, რაგომ არ უნდა ჰქონდეს უფლება მონაწილეობისა? მით უმეტეს, რომ ვერც ერთმა სასამართლომ ვერ დაამტკიცა მის მიერ ჩადენილი რაიმე დანაშაული. ჩვენ სამართლიანობის აღდგენას მოვითხოვთ...

სიტყვით გამოვიდნენ აჭარის, მცხეთა-მთიანეთის, ქართლის, გურიის, კახეთის, იმერეთის, ქვემო ქართლის რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ისინი მხარს უჭერდნენ იგორ გიორგაძეს და აკრიტიკებდნენ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მოსულ ხელისუფლებას.

ახალგაზრდებს ვკითხე, ფულს ხომ არ გიხდიან აქ მოსვლისთვის-მეთქი, უარყვეს. გურჯაანელი და თელაველი ახალგაზრდები, ასე, 20-25 წლისანი, ერთხმად ამბობდნენ, რომ მათ სოფლებში სიღუხჭირეა, ვერ ქორწინდებიან უსახსრობის გამო, უმუშევრობა და უპერსპექტივობა უმწარებთ შესანიშნავ წლებს.

– იქნება ამან გვიშველოს, – ამბობს ერთი და იგორ გიორგაძის სურათისკენ იშვერს ხელს.

– მაიცა, რაც სხვამ გვიშველა, ეგეც მაგას იზამს, – პასუხობს მეორე...

დარბაზს გულს, ვინ იცის, მერამდენედ უჩქროლებდა ძველი და ახალი ხელისუფლების კარგად ნაცნობი კრიტიკა.

– რაც სოფლის მეურნეობაში აქამდე გრანტები და დახმარებები შემოვიდა, სულ მაგათ შეჭამეს, ეგყოთა სოფელს რაიმე სიკეთე?

– არც შევარდნაძის გვჯერდა და არც საკაშვილის გვჯერა, რადგან ეგეც მაგის გამოზრდილია. ვაშა, იგორს! ეგ თუ გვიშველის!

წალენჯიხის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მაკა ბელქანაას სიტყვაში დიდი გულისტკივილი იგრძნობოდა. წალენჯიხაში დაირწა „ვარდების რევოლუციის“ აკვანი. ახლა კი „ღამის შოუშიც“ გვამასხარავებენ. პირდაპირ გული გვტკივა. რა დაეტყო ქალაქს? არც არაფერი. დღის პირველ საათზე სულს ღაფავს, მერე კი, თითქოს ცხოვრებაც კვდება, ისეთი მდუმარება და გაუხარელობაა...

ქუთაისის წარმომადგენელმა გაანაცხადა: – მიშას აჭრის არგამზიარებელს კაბინეგში ეჭრებიან, აშანტაჟებენ. ხალხი უმუშევარია, პურის ფული არა აქვს.

დარბაზში იგორ გიორგაძის ხსენებაზე მქუხარე ტაში ისმოდა.

გამომსვლელთა სიტყვებში ისეთი ახალი ტერმინები სჭარბობდა, როგორებიცაა, მაგალითად, „ცინიკური საკაშიზმი“, „პირგიტველა მიშისტები“, „ჩვენ – იგორისტები“ და სხვა.

ყრილობაზე მოგვევლინენ ლამის უკვე მივიწყებული ირინა სარიშვილი-ჭანტურია და თემურ ყორეოლიანი. მათ გაკრიტიკეს ხელისუფლება და მოითხოვეს მისი შეცვლა. ირინა სარიშვილის ნათქვამმა ფრაზამ კი „მივხედოთ, საქმეს, ვიდრე ეს ქვეყანა პრეზიდენტისგან დაფეხმძიმებული ქალებით გავსებულაო“, – ჯერ გაგრუნა, შემდეგ კი ერთობ გაამხიარულა დარბაზი.

გაულანძღავი არც სოროსი დარჩენილა და არც ამერიკა.

ყრილობამ ბოლოს რეზოლუცია და მიმართვა მიიღო პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი. „იგორისტები“ მოითხოვენ სამართლიანობის აღდგენას, ქვეყანაში ხალხის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, იგორ გიორგაძის სამშობლოში დაბრუნებას...

„იგორისტებმა“ ხელისუფლებას პირობების შესრულებისთვის 100 დღის ვადა მისცეს, რომლის შემდეგაც, თუკი მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, კანონიერი აქციებით მოითხოვენ პარლამენტისა და პრეზიდენტის გადადგომას, ვიდამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, თან სჯერათ, რომ ხალხი აპყვება.

მოკლედ, პოლიტიკური პარტიების შეერებისას ზოგჯერ ისეთ სიტყვებს გაიგონებთ, რომ ალალი კაცი „ერთხელ შეხტება, სამჯერ კი გული წაუვა“.

გამხიარულებელნი ღა, ცოტა არ იყოს, ვაოგნებელნი სტოვებდნენ დარბაზს რეგიონიდან ჩამოსული ახალგაზრდა „იგორისტები“...

ლია ჟილლაძე

◎ ფრთხილად, უნივერსიტეტია!

რეფორმა ჩიხში შევიდა...

(პირველი გვერდიდან)

– რაგომ ჩამოაშორეს უნივერსიტეტს სამეცნიერო კვლევის ფუნქცია? განა შეიძლება უძველესი ტრადიციის მქონე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება კოლეჯის დონეზე დავიყვანოთ?..

– უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა თვალსა და ხელს შუა გვეცლება, რაგომ არაფერს გვეკითხებიან?, ამდენი გაუაზრებელი ბრძანება რაგომ მოდის ზემოდან?

ამ შეკითხვებს თან ახლდა უმკაცრესი ულტიმატუმები („გადადექი“, „წადი“!) რექტორისადმი, რომლებმაც მთელი დარბაზის მხარდაჭერა მოიპოვა და ქალბაგონი რუსუდან ლორთქიფანიძე კიდევ უფრო გააოგნა.

საბოლოოდ ყველა შეკითხვა უპასუხოდ დარჩა და რექტორმა დაცვის თანხლებით დარბაზი უიმედოდ დატოვა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის არის, რომ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ ორგანიზებით კიდევ ერთხელ შეკრებილი პროფესორ-მასწავლებლები შეუვალ, დაუნდობელ ოპოზიციად ჩამოყალიბდა და დღევანდელ ახალგაზრდა ხელისუფლებას საოცარი პრინციპულობით მოსთხოვა „რეფორმის“ შეჩერება და საკუთარი უფლებების დაცვა.

დარბაზმა მიიღო საგანგებო მიმართვა ქვეყნის პრეზიდენტის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და უნივერსიტეტის რექტორისადმი, რომელშიც ხაზგასმით ნათქვამია:

რაზმბანს განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს არ გააჩნიათ რეფორმის მიმდინარეობის კონცეფცია და მისი განხორციელების სტრატეგიული გეგმა; წესდებით დაკარგულია უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის იდეა; ფაკულტეტებისა და კათედრების გაერთიანების სქემა არ ეფუძნება რაციონალურ პრინციპებს; მეცნიერება სწყდება აკადემიურ სექტორს და კარგავს ორიენტირს; აკადემიური ხარისხების შემოთავაზებული მოდელი და მასზე გადასვლის გეგმა სერიოზულად ემუქრება კვალიფიკაციის დონეს; უმაღლესი განათლების პოლიტიკის ფსევდოლიბერალური მიმართულება სერიოზულად აზარალებს ფუნდამენტური განათლების ინტერესებს; საფრთხე ექმნება სასწავლო პროცესის დაწყებას და ეს, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტთა მიმართ უპასუხისმგებლობას ნიშნავს; უგულებელყოფილია პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური და ღირსების დაცვის გარანტიები, რაც აძლიერებს ინტელექტის ქვეყნიდან გადინების საფრთხეს; იგნორირებულია აგრეთვე რეფორმის მიმდინარეობის სამართლებრივი და ეკონომიკური პრინციპები, – აუცილებლად მიგვაჩნია:

რეფორმა ჩიხში შევიდა და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების პროცესმა უკიდურესად მახინჯი და უმართავი სახე მიიღო.

ამის გამო „საუნივერსიტეტო დარბაზი“ იძულებულია განაცხადოს, რომ ემიჯნება „განათლების მესვეურთა“ ერთნული უმაღლესი განათლების წინააღმდეგ წარმოებულ დამღუპველ საქმიანობას და კატეგორიულად მოითხოვს: რექტორმა სასწრაფოდ შეიმუშაოს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს მისი საჯარო განხილვა; მანამდე შეწყდეს ყოველგვარი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების გამოცემა;

გაუქმდეს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულება (როგორც უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის დაკარგვის აქტი);

გაუქმდეს თსუ რექტორის 2005 წლის 16 ივნისის №92 ბრძანება (როგორც სტრუქტურული ცვლილებების არარაციონალური სქემა);

უნივერსიტეტმა დაიბრუნოს და თავად უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება;

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ოპტიმალური ნორმატივებისა და პროგრამების ისეთი სისტემის დანერგვა, რაც აგვაცილებს სასწავლო პროცესის ჩაშლას სექტემბერში.

ამ ობიექტურ მოთხოვნათა შესრულებლობის შემთხვევაში „საუნივერსიტეტო დარბაზი“ იძულებული იქნება, მოუწოდოს უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს მათი უფლებების დასაცავად ერთიანი დაუმორჩილებლობისაკენ.

* * *

ამ მოთხოვნებს და ერთიანი დაუმორჩილებლობის იდეას მხარი დაუჭირეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა კოტე ჯანდიერმა, გიორგი ოთხმეზურმა, მარიკა ლორთქიფანიძემ, ნესტან კირთაძემ, ჯუმბერ ჭუმბურიძემ, რევაზ მიშველაძემ, გიორგი გოგოლაშვილმა, გრიგერ ფარულავამ და სხვ.

ბაგონმა გრიგერმა ისიც კი გაიხსენა, თუ როგორი მოწყენით მოიხსენია კორნელი კეკელიძემ მისი დაარსების ერთ-ერთ იუბილეზე უნივერსიტეტი: **ადგილი ესე წმიდა არს!..**

არც ერთ კომუნისტ ჩინოვნიკს არ გაუბედავს, შენიშვნა მიეცა კორნელი კეკელიძისთვის. ღღეს კი, ვაირეფორმატორები უნივერსიტეტის დაკნინებას და დანგრევას ლამობენ. ამ წმინდა ადგილს ჩვენ არავის დავანგრევინებთ, – დასძინა გრიგერ ფარულავამ.

რუსუდან ლორთქიფანიძე, როგორც გითხარით, დაცვის თანხლებით გავიდა დარბაზიდან. ჯერჯერობით ის გადადგომას არ აპირებს. „საუნივერსიტეტო დარბაზი“ და დაუმორჩილებლობის კომიტეტი ხვალიდან ახალ სიურპრიზებს ვეპირდებიან.

უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ აბობოქრდა...

სპარტაკ ძოწულია

◎ ოპოზიცია

ეროვნული, სიკეთე და ახალი თაობა

(პირველი გვერდიდან)

ყრილობის ფორმალური ნაწილის შემდეგ დაგით ბერძენიშვილმა შეკრებილთ თავისი თავმჯდომარეობისას პარტიის ოთხწლიანი საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. მთავარი თემა რევოლუციისთვის მზადება, შემდეგ კი „დამობილებულთა“ ვზის გაყრა იყო. ჯერ – საკონსტიტუციო ცვლილებებთან, შემდეგ კი აჭარის არჩევნებთან დაკავშირებული უთანხმოებისას „მიხეილ სააკაშვილი მიხდა, რომ ეკლიან რესპუბლიკელებთან თანამშრომლობა უნდა დაესრულებინა“.

პარტიის საქმიანობის დადებითად შეფასების შემდეგ ყრილობაზე წესდების ახალი რედაქცია განიხილეს. პოლემიკა მოჰყვა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის იდეას – ზოგიერთს ეს თურმე კომკავშირს აგონებს. მაგრამ ახალგაზრდული ორგანიზაცია დიდი ძალა რომ არის, „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერი წევრი დაგიდასტურებთ. საბოლოოდ, აბსოლუტურმა უმრავლესობამ მაინც გადაწყვიტა ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნა.

წესდებაში ცვლილებების შეტანას ეროვნული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრთა დასახელება მოჰყვა. პირველად დავით უსუფაშვილი წარუდგინა აუდიტორიას დავით ბერძენიშვილმა, რომლის აზრითაც, მმართველ ორგანოში უსუფაშვილის ყოფნა პარტიის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. შემდეგ დასახელდნენ ივლიანე ხაინდრავა („ერთ-ერთი ყველაზე ეკლიანი რესპუბლიკელი“), ზურაბ მარაქველიძე, ლევან ბერძენიშვილი, გურამ ბერიშვილი („ცივი შხაპი ეროვნული კომიტეტისთვის“), ვალერი გელაშვილი (საშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ახლახან „გარესპუბლიკელდა“), თეიმურ ნერგაძე, ფრიდონ საყვარელიძე („მთავარი ფილტრი“, რომელთანაც გადიოდნენ გასაუბრებას პარტიის წევრობის მსურველები), ლაშა ნაცვლიშვილი (ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც კიდევ ერთი ახალი რესპუბლიკელია), შერმან დუმბაძე, პაატა ბაქარეიშვილი, თინა ხიდაშელი (ასევე ახალი რესპუბლიკელი და ბერძენიშვილის თავმჯდომარეობის „ყველაზე დიდი მიღწევა“) და დავით ბერძენიშვილი. წინასწარ ვეტყვით, რომ ყრილობამ ცამეტიე კანდიდატი აირჩია, ისევე როგორც სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველი ხუთივე პიროვნება.

ერთსაათიანი შესვენება გამოცხადდა. სანამ ჩვენ ჩაის მივირთმევდით, ყრილობის დელეგატებმა კენჭისყრაში მიიღეს მონაწილეობა.

რესპუბლიკური პარტია, შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით ულატფორმო პარტიაა, ყოველ შემთხვევაში, წლების განმავლობაში ნააზრევისთვის აქამდე არ მიუციათ დოკუმენტის სახე. შესვენების შემდეგ საზოგადოებას ის თემისები გააცნეს, რომლებიც ივლიანე ხაინდრავამ, გია ჯანდიერმა და თემურ ვეკუამ შეიმუშავეს და რომელიც საფუძვლად დაედება სრულყოფილ პლატფორმას. ამას ეროვნული კომიტეტის არჩევნების შედეგების გამოცხადება მოჰყვა, თუმცა ეს თავიდანვე ნათელი იყო. ეროვნულ კომიტეტში 13 წევრი უნდა აერჩიათ, სარევიზიო კომისიაში კი – ხუთი. ამდენივე იყო წარდგენილი. მართალია, ყრილობას უფლება ჰქონდა, სხვა კანდიდატებიც დასახელებინა, მაგრამ ამის სურვილი ან არავის გასჩენია, ან უიმედო მეგოქეობად ჩათვალეს. დარჩა კიდევ ერთი ფორმალობა – პარტიის თავმჯდომარის, ანუ დავით უსუფაშვილის არჩევა ეროვნული კომიტეტის მიერ.

ეროვნული კომიტეტის წევრთა მოთათბირების შედეგი აუდიტორიას ლევან ბერძენიშვილმა გააცნო, თანაც, ისე, რომ ყრილობათა ჩვეული მოსაწყენი აგმოსფერო გაფანტა. ერთხმად არჩეულ უსუფაშვილს დარბაზი ფეხზე წამოუდგა ხანგრძლივი გაშოსკვრით, რის შემდეგაც ბატონმა ლევანმა ლირიკულ გადასვლას მიმართა:

– ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, საქართველოში ვცხოვრობთ, ერთად ვადევნებთ თვალს პრესას... ღღეს მე საშუალება მქონდა, თქვენთან ერთად მეყურებინა საინფორმაციო გადაცემებისთვის და გამეკეთებინა დასკვნა, რომ ამ დარბაზში ერთმანეთს ებრძოდა ორი „კლანი“ – უსუფაშვილ-ხიდაშელისა და ბერძენიშვილებისა. თანაც ბერძენიშვილთა „კლანი“ გაღიმებული სახით აცხადებდა თავის მომავალ „დამარცხებას“. ღღეს ბერძენიშვილთა „კლანი“ ბედნიერია, ჩვენ გვყავს უპაგონსნესი, კვალიფიციური წარმოუდგენლად ენერგიული თავმჯდომარე, რომელიც უკვე სხვა რიგში აგვარებს ყველაფერს და მომავალში რას გვიპირებს, არ ვიცი... მუშაობის ასეთი ტემპის გამო ვყოყმანობდით კიდევ, ხომ არ შევჭერდეთო, მაგრამ ჩვენ საკუთარ თავს მივუსაჯეთ დავით უსუფაშვილი. გილოცავთ ყველას, ერთის გარდა – გურამ ბერიშვილმა მასწავლა, ყველას მიულოცე უსუფაშვილის გარდაო.

ბერიშვილთან კამათი ძალზე ჰყვარებია პარტიის ახალ თავმჯდომარეს. ამჯერადაც არ დაეთანხმა – ვულოცავ საკუთარ თავს, თქვენი რჩეული რომ გავხდიო.

რა შეიცვლება რესპუბლიკურ პარტიაში უსუფაშვილის ხელმძღვანელობით? – ეს შეკითხვა ხშირად ისმეოდა გუშინ.

– იგი უფრო ძლიერი, ორგანიზებული გახდება ისე, რომ ჩვენი პარტიის ინტელექტუალური პოტენციალი პოლიტიკურ პოტენციად გადაიქცეს.

სხვა არაფერი აკლიათ რესპუბლიკელებს, უსუფაშვილის თქმით. პარტია სერიოზულ მზადებას იწყებს სახელისუფლებო ამბიციების განსახორციელებლად და, ახალი თავმჯდომარის წინასწარჭვრეტით, დიდი წარმატებაც ელის.

– რესპუბლიკურმა პარტიამ პოლიტიკურ წარმატებას უნდა გაუძღოს, რაც არც ისე იოლია.

მხოლოდ სწორი მოსაზრებების გამოთქმა და ოპონირება საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიგომ „პარტიამ პასუხისმგებლობა უნდა იგვიროს“. ისევე, როგორც უსუფაშვილმა დათმო საექსპერტო სივრცე (სფერო, რომლითაც ასრულებენ კრიერას პოლიტიკოსები და სადაც განსცხრომას ეძლევიან) და საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგა. და კიდევ, რესპუბლიკელებს არ სურთ, ბეჭებზე დაცემული ხელისუფლება იხილონ, მათ უნდათ, იყვნენ „კარგ ხელისუფლებაზე უკეთესნი“.

ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდიო, – გაცვეთილი გამოთქმაა, მაგრამ ფუსგად ეს გამახსენდა, გახსულ დარბაზს რომ ვუყურებდი.

ორი ყოფილი თავმჯდომარე (ხაინდრავა და ბერძენიშვილი) აღგაცვეს არ მალავდა შემცველელით.

– გპირდებით, ოთხი წლის შემდეგ, როცა ჩემი თავმჯდომარეობის ვადა ამოწურება, ეს სამი ადამიანი ისევ ერთად ვიქნებით და წარმოგიდგენთ მეოთხეს, – ყრილობის დასასრულს თქვა დავით უსუფაშვილმა.

ივლიანე ხაინდრავამ საკუთარ თავს გადასცა დასკვნითი სიტყვა და მოკლედ ჩამოაყალიბა ყრილობის შედეგები. უსუფაშვილმა თავის გამოსვლაში დისციპლინაც ახსენა, რაც პარტიის პრიორიტეტი არ ყოფილა აღრე. ეს დისციპლინა რომ უკვე ამოქმედდა, ხაინდრავამ იმით დაინახა, დღის წესრიგი შედმწევნით, ქართველთათვის უჩვეულოდ რომ დაიცვეს, ყრილობა ზუსგად ნაშუადღევის ორ საათზე გაიხსნა და ასევე განსაზღვრულ დროს – შვიდის ნახევარზე დაიხურა.

– ყრილობის დასასრულს, როგორც წესი, კონცერტი იმართება ხოლმე. ახლაც იქნება – გეპაგიყენით აბანოთუბანში, საპროტესტო აქციაკონცერგზე, – „ოპოზიციური“ მიწვევით დახურა ყრილობა ივლიანე ხაინდრავამ.

რუსუდან გახარია

◎ ინფორმაცია

გვიშველის „ხალხის ხმა“?

ყოფილმა „ლეიბორისტმა“ გელა დანელიამ არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლა. დანელიამ თანამოაზრეებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო ინიციატივების განვითარების და დაცვის კავშირი – „ხალხის ხმა“ დაარეგისტრირა.

დამფუძნებლის განცხადებით, კავშირის მიზნებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების შენარჩუნება, გაძლიერება და განვითარება, ასევე საზოგადოების სამართლებრივი და პოლიტიკური განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

„ხალხის ხმა“ ადამიანის უფლებების დაცვის და არჩევნების მონიტორინგის მიმართულებითაც იმუშავებს.

ნოღაიდელი „ნიკორაიზ“ კვაყოფილია



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ ხორცის გადამამუშავებელი კომბინატი „ნიკორა“ მოინახულა.

როგორც მან დათვალიერების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი ამ კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხიანობაში დარწმუნებულია, კომბინატი თანამედროვე სტანდარტებით არის აღჭურვილი და იქ მართლაც მაღალი დონის პროდუქციის წარმოება ხდება.

ნოღაიდელის განცხადებით, „ნიკორას“ ფართო ბაზარზე ხორცის გადამშუშავებელ მრეწველობაში ლიდერის პოზიცია უკავია. გარდა ამისა, „ნიკორას“ ქსელში დასაქმებულია ასობით ადამიანი, რაც საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტია.

ხორცის გადამუშავებელი კომბინატი „ნიკორა“ 1998 წელს დაარსდა. თავდაპირველად ეს კომპანია შვიდი სახეობის პროდუქტს უშვებდა, დღეისთვის კი 130-მდე სახეობის პროდუქციას უშვებს.

ზაფხულის დადგომისთანავე კი „ნიკორამ“ მომხმარებელს ახალი პროდუქტი „ნაყინი ნიკორა“ შესთავაზა.

ზურაბ ნოღაიდელი „ნიკორას“ შემდეგ დღესვე „პეპსის“ კომპანიას მოინახულებს.

ჩოჩიევის „ბრძნული“ აზრები

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე სტანისლავ ჩოჩიევი „დროის მოთხოვნისადმი რუსეთის მმართველი წრეების მხარდაჭერად“ აფასებს ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტ თეიმურაზ მამსუროვის განცხადებას სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებას აუცილებლობის შესახებ.

ჩოჩიევის შეფასებით, მამსუროვი საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა და ასეთ მნიშვნელოვან განცხადებას მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო, შემთხვევით არ გააკეთებდა. მისივე თქმით, მამსუროვმა კარგად იცის სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები და მას, როგორც ინტელექტუალურ პოლიტიკოსს, ესმის, რომ ჩრდილოეთ ოსეთი აყვავებულ და წარმატებულ რესპუბლიკად ვერ გადაიქცევა, „ვიდრე ორი ოსეთი რეალურად არ გაერთიანდება“

ჩოჩიევი ოსი ხალხის დიდ გამარჯვებად აფასებს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად თეიმურაზ მამსუროვის არჩევას და არ იზიარებს ბესლანის ტრაგედიის დროს დაღუპული ბავშვების მშობელთა მოსაზრებას, თითქოს ტრაგედიაში მამსუროვიც იყოს დამნაშავე, რომელიც იმ დროს ჩრდილოეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოღვაწეობდა.

ინტერპრესნიუსი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

წმინდა ქართული მკვლელობა

მარინა პერევოზკინა, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 27 ივნისი.

როცა სახელმწიფოს პირველ პირებს კლავენ, ეს ყოველთვის ბადებს მრავალ კითხვას, თვით ამ შემთხვევაშიც კი, თუ მკვლელებს მიაგნეს და სასჯელობილეშიც მოათავსეს. ზოგჯერ სიმართლე მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გაირკვევა ხოლმე. უფრო ხშირად კი, საიდუმლო ამოუხსნელი რჩება.

მიმდინარე წლის 3 თებერვალს დაიღუპა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. გამოძიებამ დაასკვნა, რომ დაღუპვის მიზეზი იყო ღუმელიდან გამონაბოლქვი მხუთავი გაზი. მაგრამ ახლა სულ უფრო მეტი ფაქტი გვაძლევს ამ ვერსიაში დაეჭვების საბაბს. სკამრისია ითქვას, რომ ბინაში, რომელშიც ჟვანიამ და მისმა მეგობარმა იუსუპოვმა რამდენიმე საათი დაჰყვეს, ვერ იპოვეს მათი თითის ანაბეჭდები.

რეტროსპექტივა

3.02.05. ღილის 4 საათი და 30 წუთი. თბილისში, საბურთალოს ქუჩის № 53-ა სახლის მე-3 ბინაში იპოვეს ზურაბ ჟვანიას და ქვემო ქართლის რეგიონის ვიცე-გუბერნატორის, 25 წლის რაულ იუსუპოვის გვამები.

3.02.05. ღილის 8 საათი და 38 წუთი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მურაბიშვილმა განაცხადა, რომ პრემიერი გაიგუდა მხუთავი გაზით, რისი მიზეზიც იყო იუსუპოვის ბინაში არასწორად დამონტაჟებული გამათბობელი.

3.03.05. ღილის 11 საათი და 53 წუთი. სასამართლო ექსპერტიზის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრემიერი გარდაიცვალა მხუთავი გაზით მოწამვლით. ჟვანიას სისხლის ანალიზის შედეგებმა უჩვენეს კარბოქსიჰემოგლობინის 20 პროცენტზე მეტი შემცველობა. ეს ნივთიერება წარმოიქმნება ჰემოგლობინთან მხუთავი გაზის შერწყმისას, თქვა ექსპერტმა ირინე თანდილაშვილმა. სისხლში ამ ნივთიერების შემცველობა 5-10 პროცენტის ოდენობით ნორმის ფარგლებშია, 20 პროცენტზე მეტი კი სიკვდილს იწვევს, დასძინა მან. მოგვიანებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დირექტორმა ლევან სამხარაულმა განაცხადა, რომ პრემიერის სისხლში კარბოქსიჰემოგლობინის შემცველობა ორჯერ აღემატებოდა სასიკვდილო დოზას და 40 პროცენტს შეადგენდა.

4.02.05. ლევან სამხარაულმა განაცხადა, რომ ჟვანიას სისხლში კარბოქსიჰემოგლობინის შემცველობა 60,6 პროცენტს აღწევდა, იუსუპოვის სისხლში კი 73,9 პროცენტს. „დაღუპვის მიზეზი აშკარაა“, – დაასკვნა ექსპერტმა.

ხუთი გვამი

მაისის დამლევს კახეთის ქალაქ ყვარელში მოხდა მოვლენა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ პრაქტიკულად არავის შეუნიშნავს. ერთი შეხედვით, ეს იყო ჩვეულებრივი მკვლელობა. ორი ახალგაზრდა კაცი თბილისიდან ჩავიდა ამ პროვინციულ ქალაქში მესამე თანაკლასელის მოსანახულებლად. ეს უკანასკნელი კი ...გიჟი აღმოჩნდა. ყვარლელმა თანაკლასელმა მოულოდნელად გაისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მოკლა ერთი მეგობარი, მეორე დაჭრა, თვითონ კი თავი მოიკლა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ საქართველოში აღმოჩნდა ორი ოჯახი – განსვენებული პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და ქვემო ქართლის ვიცე-გუბერნატორის რაულ იუსუპოვის ნათესავები – რომლებმაც არ დაიჯერეს ეს. არ დაიჯერეს იმიგომ, რომ გიჟის მიერ 22 მაისს მოკლული ადამიანი იყო ლევან სამხარაული. და იგი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დირექტორად, რომელიც ამზადებდა დასკვნას ჟვანიას და იუსუპოვის დაღუპვის საქმის შესახებ. საქართველოში მრავალ ადამიანს საკმაოდ უცნაურად ეჩვენა ექსპერტის დაღუპვა მას შემდეგ, რაც წინა დღით „202“ ტელეარხმა უჩვენა ვახტანგ კომახიძის ფილმი „ტყვიის გარეშე“. ამ ფილმმა მთლიანად უარყო ის ვერსია, რომლის თანახმადაც, სამხარაული ღღისით, მზისით, მრავალი ადამიანის თვალწინ მოკლეს. მისმა შეშლილმა თანაკლასელმა 20-ჯერ გაისროლა იარაღი, მიირბინა დაჭრილ სამხარაულთან და საკონტროლო გასროლაც განახორციელა თავის არეში. ამის შემდეგ იგი საკუთარ სახლში გაიქცა, სადაც მალე გამოცხადდა კიდეც პოლიცია. გიჟმა თავი მოიკლა, თანაც, ორი გასროლით: გულში და თავში. ცოტა უცნაურად გვეჩვენება ისიც, რომ თვითმკვლელობის ადგილზე დაცლილი მასრები ვერ იპოვეს. ვახტანგ კომახიძეს მიაჩნია, რომ სამხარაულს შეეძლო ეთქვა ბევრი რამ საინტერესო იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნა. თუ სამხარაულის მკვლელობა დაკავშირებულია პრემიერის დაღუპვასთან, მაშინ ამ იდუმალებით მოცული საქმეში უკვე 5 გვამია: ჟვანია, იუსუპოვი, ექსპერტიზის უფროსი, მისი თანაკლასელი და პრეზიდენტის აპარაგის თანამშრომელი გიორგი ხელაშვილი, რომელმაც პრემიერის დაღუპვიდან მეორე დღეს მოიკლა თავი.

იხ. მე-5 გვ.

◎ თანამშრომლობა

ჩვენს საზღვარს ჩარაზვა სჭირდება

საქართველოს მსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაცია ჩინეთიდან დაბრუნდა. სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე და თავმჯდომარის მოადგილე ესპარ გიგაური ჩინეთში ოფიციალური მიწვევით საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდნენ.

ბადრი ბიწაძის განცხადებით, „ეს ვიზიტი გარკვეულწილად ურთიერთობების აღდგენას ისახავდა მიზნად. ჩვენმა სასაზღვრო უწყებამ თანამშრომლობა ჩინეთის მხარესთან ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო, როდესაც სასაზღვრო საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. კონკრეტულად, საერთაშორისო ტერორიზმთან, ტრფიკინგთან, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან და არალეგალურ მიგრაციასთან საბრძოლველად. ხელშეკრულების თანახმად შეხვედრები ორ წელიწადში ერთხელ უნდა გამართულიყო. თუმცა, 2000 წლის შემდეგ მსგავსი შეხვედრა არ გამართულა“.

ამ პერიოდში ჩინური მხარის მიერ დახმარების სახით ქართულ სასაზღვრო უწყებას 187 500 აშშ დოლარი გადმოეცა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჩინეთის სასაზღვრო უწყებასთან დადებული შეთანხმების გაგრძელებას აუცილებლად მიიჩნევს. ბიწაძის აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე სასაზღვრო დანაშაულთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, აღჭურვილობის თაობაზე, მხარეებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მან ქართულ სასაზღვრო უწყებაში არსებული მდგომარეობის გასაცნობად საქართველოში მოიწვია ჩინელი მესაზღვრეების დელეგაცია, რომ

№ 151, სამშაბათი, 28 ივნისი, 2005 წელი.

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

ვიდრე კატასტროფა დაგვატყდება

გვესაუბრება მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე

– ბატონო გიორგი, ერთ დროს მწვანეთა პარტია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო საქართველოში, ამ ბოლო დროს კი ისე სმირად აღარ ისმის თქვენი ხმა.

– ჩვენ, დაარსებიდან დღემდე, ძალიან ძმიმე პერიოდი გავიარეთ და, სამწუხაროდ, ახლაც ძნელ ვითარებაში გახლავართ. პარტია მასმედიის გარეშე ვერ იარსებებს. პრესა არ გვანებივრებს, ამავე დროს, პირდაპირ ეთერში, სულ თითზე ჩამოსათვლელად თუ გვისაუბრია.

– გებეჭდათ და გამოსულიყავით ტელევიზიით, განა ვინმე დაგიშლიდათ?

– მარტო კი არ გვიშლიდნენ, ხელოვნურ ბარიერებს ქმნიდნენ. ბევრმა არ იცის საქართველოში, რომ ევროპის დიდ ქვეყნებში მწვანეები მმართველი პარტიაა, მაგალითად, გერმანიაში, ევროკავშირში ერთ-ერთი დიდი ფრაქციაა, რომელიც, ფაქტობრივად, ევროპის პოლიტიკას განსაზღვრავს.

– გასაგებია რეკლამის ძალა, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, მარტო გამოქვეყნებული პუბლიკაციებით და საგელვეზიით გამოსვლებით საქმე არ კეთდება. მაინც, რაგომ გმღუდავენ?

– ჩვენი დაბლოკვის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ანტიგლობალისტები ვართ.

– მერე რა?

– ის, რომ ანტიგლობალიზმი, თავის შინაარსში როგორც დადებითს, ისე უარყოფითს შეიცავს. უარყოფითი მხარეები საზიანოა პატარა ქვეყნებისათვის. ეროვნული თვითმყოფადობა ქრება. იგი ანგრევს ტრადიციულ კულტურულ მემკვიდრეობას.

პრობლემები იქმნება ეკონომიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისითაც, რადგან პატარა სახელმწიფო, მით უმეტეს, პოსტკომუნისტური სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურით, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს უზარმაზარი კორპორაციების შემოტევას. საბოლოოდ, ჩვენი სოფლის მეურნეობა მოკვდება. ჩვენი შუასაუკუნოვანი ტექნიკით მათ მაღალტექნოლოგიებს როგორ გინდა კონკურენცია გაუწიო? რეალურად, ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. თუ ნამდვილი პატრიოტები ვართ, ხმა უნდა ავიმაღლოთ, წინ აღვუდგეთ მოსალოდნელ საშიშროებას.

– მაინც რით დავიწყოთ?

– უპირველესად, ეროვნული ეკონომიკაა მისახედი. ჩვენი ძირითადი მიზანი ადგილობრივი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძალიან სწრაფი ტემპით განვითარება და საერთაშორისო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა უნდა იყოს.

ამისათვის კი საჭიროა ქვეყანაში არსებული საინვესტიციო რესურსების მაქსიმალურად, არა ქვეყნის მილიტარიზაციისკენ, არამედ ეროვნული ეკონომიკის განვითარებისკენ მიმართვა.

– რას აკეთებს თქვენი პარტია ამ საკითხების მოსაგვარებლად?

– ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას აქვს თავისი პროგრამა როგორც ეკონომიკაში, ასევე სოციალურ და უსაფრთხოების სფეროში. მწვანეთა პარტიამ ყველაზე სერიოზული ეკოლოგიური პროგრამა შეიმუშავა. ჩვენთვის სრულიად საკმარისი იყო 1995 წელს პარლამენტში ორი კაცი მოვხვედრილიყავით, მე და პროფესორი გივი გიგინეიშვილი, რომ თავიდან შეგვექმნა გარემოს დაცვითი კანონმდებლობა და სიამაყით ვამბობ, დღემდე ეს კანონმდებლობა მოდელად ითვლება საერთაშორისო თვალსაზრისით.

– როგორ თანამშრომლობთ გარემოს დაცვის სამინისტროსთან?

– სამწუხაროდ, მათ ჩვენთან ურთიერთობის არავითარი სურვილი არა აქვთ. ისინი აგარებენ სხდომებს, შეკრებებს, სადაც ყველას ეძახიან, ჩვენს გარდა.

– რა არის თქვენი ყველაზე დიდი საწუხარი დღეს?

– ჩვენი პარტიის და პირადად ჩემი დიდი საწუხარი დღეს გახლავთ ხელისუფლებისა და საზოგადოების ის დამოკიდებულება, რომელიც ამ უახლოეს პერიოდში ჩამოყალიბდა, ასეთი რამ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე არასოდეს არ არსებობდა, თვით ბაგონყმობის დროსაც კი. მას პაგრონყმობა ერქვა და გლეხსა და ბაგონს შორის სულ სხვა დამოკიდებულება იყო. გლეხი გრძნობდა, რომ მასზე ზრუნავდნენ, მას პაგრონი ჰყავდა.

დღეისათვის ხელისუფლების ადამიანების მიმართ გულგრილობა, მხოლოდ და მხოლოდ გაოცებას იწვევს. არადა, ცნობილი გამონათქვამია: „ბოროტება და გულგრილობა ერთმანეთის სინონიმები არიანო“. ამიგომ არის, რომ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იზრდება ნაპრალი, რაც ძალიან ტრაგიკული შედეგებით დამთავრდება. გარდა ამისა, ძალიან შეშფოთებული ვართ ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის უსაფრთხოების ფუნდამენტური პრინციპების იგნორირებითა თუ უცოდინრობით.

– როგორ გავიგოთ, რას გულისხმობთ ფუნდამენტური პრინციპების იგნორირებაში?

– უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ადამიანის უსაფრთხოებას როგორც ეკოლოგიური, ისე მატერიალური თვალსაზრისით, რადგან ახალმა ხელისუფლებამ უკვე მოასწრო რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტის, მათ შორის გაეროს კონვენციის იგნორირება. მაგალითად, ახალმა ხელისუფლებამ საგადასახადო კოდექსიდან ამოიღო გარემოს დაბინძურების გადასახადი, რამაც უზარმაზარი საფრთხის წინაშე დააყენა მოსახლეობის ჯანმრთელობა. ამით დაირღვა საერთაშორისო ხელშეკრულება, უპირველესად, ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის მოთხოვნა.

ახლა ცდილობენ გარემოს დაცვითი ნებართვების კერძოდ, ფოტოსანიგარიული სამსახურის გაუქმებას.

– ბატონო გიორგი, ქართველებს ოდითგანვე თავი მოგვწონს სასმელი წყლით, რომლის რესურსმა ამ ბოლო დროს, საგრძნობლად იკლო და სარისხიც მკვეთრად გაუარესდა.

– მართალს ბრძანებთ, ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად, აბაშაში მოსახლეობას წყალი აზბესტის მილებით მიეწოდება. ეს არის კაგასტროფა, რადგან აზბესტის გამოყენება მხოლოდ დია სივრცეში შეიძლება, ვინაიდან იგი ძლიერი კარცოგენია (კიბოს გამომწვევი).

ბოლნისში კი, წყლის მაგივრად შხამი მოდის. მის დაბინძურებაში უდიდესი წვლილი კაზრეთის სამთომომპოვებელი და კვარციის გადამმუშავებელ კომბინატებს მიუძღვით. ბოლნისის მდინარეში ცოცხალ ორგანიზმს ვერ სახავთ. არათუ თევზი, ხავსიც კი მოისპო. ამ წყლით კი ბოლნისის რაიონის უმეტესი სოფლები ირწყვება.

ახლა დედაქალაქი აიღეთ? სამწუხაროდ, მტკვარი თბილისის კანალიზაციის კოლექტორია, შესაბამისად, სასტიკად აკრძალულია მტკვრის თევზის ჭამა. სანაპიროზე მეთევზეები ძირითადად იმ ადგილებში თევზაობენ, სადაც კანალიზაცია ჩაედინება, იმიგომ რომ, იმ ადგილს ეტანება თევზი. ტუბერკულოზის, ინფექციურ დაავადებათა და ონკოლოგიურ ცენტრებს, არც ერთს გამწმენდი მოწყობილობა არა აქვთ.

– რა მდგომარეობაა ჰაერის დაბინძურების მხრივ, როგორც ვიცი, აქაც არა გვაქვს მთლად კარგად საქმე.

– თბილისი არის საშინლად მტვრიანი ქალაქი. ამას ამორგიზებული მანქანებიც ემატება. გაცვეთილი საბურავები, რეზინის ელემენტები ჰაერს კიდევ უფრო აბინძურებს გამონაბოლქვი, 400-მდე დასახელების ტოქსიკურ ნივთიერებას რომ შეიცავს. ამას ემატება უხარისხო ბენზინი, რომლის წვის დროსაც ჰაერში გამოიყოფა ცნობილი კანცეროგენი – ბენზოპირენი, რომელიც გულისა და ფილტვის კიბოს იწვევს. ეს ყველაფერი უმძიმეს მდგომარეობას ქმნის. რაც კი საქართველოში ტრანსპორტია, მისი უმეტესი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. ეს არის დაახლოებით 350 ათასი ავტომანქანა, რომელსაც ტექდათვალიერება არ უგარდება. ამან კი სავალალო სტატისტიკამდე მიგვიყვანა, ონკოლოგიური დაავადება 45 პროცენტით გაიზარდა.

– როგორც ვხედავთ, პრობლემები საკმაოზე მეტია და თანაც ისეთი, რომელთა გადაწყვეტაზე ყველაზე ძვირფასი, ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა დამოკიდებული. რა გამოსავალი არსებობს?

– ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ. სახელმწიფო პოლიტიკა და პრიორიტეტები ბიუჯეტში გაწერილი რიცხვებით განსაზღვრება, რაც მე, მაინც და მაინც, სახარბიელოდ არ მეჩვენება.

ესაუბრა
მარადი ანასაშვილი

◎ ინფორმაცია

ხელისუფლების მოდელი მოეწონება, აბა, რა!..

მერის არჩევის თაობაზე საზოგადოებისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული მოდელი ქვეყნისთვის ყველაზე მისაღებია. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განუცხადა.

მისი თქმით, ახალი მოდელის მიხედვით მერი არჩევითი ხდება, დღემდე კი მერს ხელისუფლება ნიშნავდა.

„ეს არის სწორედ ის მოდელი, რომელიც ავლენს, რომ ახლად არჩეული ხელისუფლება დემოკრატიის განვითარებაზე ზრუნავს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და დასძინა, რომ ოპონენტების მიერ გაკეთებული განცხადებები, თითქოს ხელისუფლება უარს ამბობს დემოკრატიის განვითარებაზე, სიმართლეს არ შეესაბამება.

„მომავალ წელს საზოგადოებას არჩეული მერი ეყოლება და ეს მნიშვნელოვანია“, – აღნიშნა ზურაბ ნოღაიდელმა.

ჟურნალისტის ცემის ფაქტი დაგმეს

კახეთის რეგიონულ გაზეთ „იმედის“ მთავარი რედაქტორის გელა მთიულიშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით გუშინ გურჯაანში „თავისუფლების ინსტიტუტის“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და მედიის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ჟურნალისტზე თავდასხმის ფაქტი დაგმეს.

თავად დაზარალებულმა გურჯაანის რაიონის პოლიციას გუშინ ოფიციალურად გამოუცხადა უნდობლობა და თავდასხმაში მათი მონაწილეობაც არ გამორიცხა. ამ მოგივით გაზეთის რედაქტორი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე და საქმის სხვა რაიონის საგამოძიებო განყოფილებაში გადაგანას ითხოვს.

გურჯაანის რაიონის პოლიციის უფროსი არჩილ გოჟაძე ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ მთიულიშვილზე თავდასხმის ფაქტის შეტყობინებისთანავე პოლიციამ ოპერატიულად იმუშავა და მას პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ჟურნალისტებმა ობიექტური გამოძიების ჩაგარების მოთხოვნით მიმართვა შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს გაუგზავნეს.

კახეთის რეგიონულ გაზეთ „იმედის“ მთავარი რედაქტორი გელა მთიულიშვილი საკუთარ სახლთან უცნობმა პირებმა 22 ივნისს სასტიკად სცემეს. იგი გვინის შერყევით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ვიზების გაგრძელებას ელოდებიან

ახალქალაქისა და ბათუმის რუსულ სამხედრო ბაზებზე მომსახურე 1275 სამხედრო მოსამსახურეს ვიზის გაგრძელება სჭირდება, – აცხადებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის წევრი ნიკოლაი ბეზბოროდოვი.

„ქართული მხარის მიერ რუსი სამხედროებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის წლიური ვიზების გაცემაზე უარის თქმა, რათა ისინი შვებულებაში, მიელინებაში გავიდნენ ან რუსეთის სამედიცინო დაწესებულებებს ეწვიონ, ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც საქართველოში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის ყოფნას ართულებს“, – აცხადებს ნიკოლაი ბეზბოროდოვი.

მისი მონაცემებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წლის დასაწყისში სამხედრო ბაზებზე მოსამსახურეებისთვის 151 შემავალი ვიზა გაფორმდა, მაშინ, როცა საჭიროა ათასზე მეტი ვიზის გაფორმება.

რუსი დეპუტატი აცხადებს, რომ საქართველოს საგარეო უწყებაში რუსმა სამხედროებმა ვიზის მიღების შესახებ 718 თხოვნა ხელმეორედ წარადგინეს.

გადაჰყვნენ ამ აეროპორტის გზატკეცილს!

თბილისს გზების საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის დაფინანსება 11 მილიონ 560 ათასი ლარით გაიზარდა. ასეთი ცვლილება დედაქალაქის ბიუჯეტში გასულ კვირას შეიტანეს.

როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარმა ინჟინერმა მერაბ შავლაძემ მედიანიუსს განუცხადა, ამჯერად აღდგენითი სამუშაოები აეროპორტის გზატკეცილზე მიმდინარეობს – გზის ზედა ფენის დაგება, სავარაუდოდ, 3 დღეში დასრულდება. ეს პროცესი უკვე შეეხო 49-მდე ქუჩას. უმრავლესობა უკვე შეაკეთეს, ზოგის აღდგენითი სამუშაოებიც ამჟამად მიმდინარეობს.

შავლაძის ინფორმაციითვე, ჰოლანდიური ფირმის მიერ შემოყვანილი სპეციტექნიკის დახმარებით, 10 ივლისამდე უნდა დაიწყოს დავით აღმაშენებლის ხეივნის აღდგენითი სამუშაოები. რაც შეეხება ჯავახეთის, მარჯანიშვილის, ქიაჩელის, დადიანის, ბეჟანიშვილის, ღრმაღელის, ბენდელიანის, ილურიძის, შეშელიძის ქუჩებსა და ნორიოს აღმართს, მათ შეკეთებაზე ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

გამარჯვებული კომპანია 15 ივლისისთვის გამოვლინდება.

ინტერპრესნიუსი, მედიანიუსი.

◎ ლამბადა

ჩვენ ევროპელები ვართ და ევროპულად უნდა ვიხუნტრუკოთ

მთელ საქართველოს ლამბადას „აცეკვებენ“, თითქოს მართლა საცეკვაოდ ჰქონოდეს საქმე. ლამბადა ყველგან: ქუჩაში, პარლამენტში, ტელეეკრანზე, ესტრადაზე, „ნიკალაში“, უნივერსიტეტში, ცხინვალის რეგიონში...

მპპანი იგყვის, რა ეთამაშებათო. ამბობენ კიდეც. ნაცნობი მელოდია არცთუ შორეული წარსულიდან: „სოფლის შენებას რა უნდა, რა უნდა?“

ტამ-ფანდურა რომ ნამდვილად არ სჭირდება, ბავშვმაც კი იცის.

სულხან-საბა განმარტავს: „თამაშა თათრულად სანახავსა ჰქვია, ხოლო თამაშობა ქართულად მღერა-შექცევათა სახელია... და ესეცა განიყოფების ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად“.

უბედურება ის არის, რომ „ხუნტრუცი“ არ აკლია ქართულ პოლიტიკას. სახელმწიფო კი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა უსუსურობას ეწირება, მხოლოდ აგრობუტიკა – დროშა, გერბი და ჰიმნი არსებითად არაფერს ცვლის.

იმღერეთ, რამდენიც გინდათ „ჩემი ბაგია სამშობლო“, აფრიალეთ წითელჯვრიანი დროშები, აჩუქეთ ერთმანეთს ვარდები, ააჭრელეთ წითელ-ყვითლად ქალაქი და „ბარს“ დაამსგავსეთ...

ამით ეშველება რამე ხალხის უსასოობას?

მხოლოდ ფასადების შელამაზება მოგვიგანს ეკონომიკურ კეთილდღეობას?

უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ შოუები და ზიზილ-პიპილები ხელისუფლების საგუკარაა, ხალხს ყურადღების მეასეხარისხოვან პრობლემებზე გადასაგანად და ეკონომიკური სიდუხჭირის დასავიწყებლადო...

განა ჯორჯ ბუშის პომპეზური დახვედრა ამას არ ადასტურებს? აღარ მახსოვს ვინ თქვა, მებრალებოდნენ მშიერი კუჭებით მოცეკვავე ქართველებიო. ჩვენი უბედურებაა, რომ ამ ვიზიტის ეიფორიიდან ვერ გამოვსულვართ, თურმე სკოლის მოსწავლეებს შორის კონკურსიც ჩაუტარებიათ თემაზე: „ჩვენ ვხატავთ ჯორჯ ბუშს“ (გაიხსენეთ: „ვამბობთ პარგიას და ვგულისხმობთ ვლადიმერ ლენინს“) და გამარჯვებულები დაუჯილდოვებიათ კიდეც. ვინც ლამაზად ვერ დახატა ჩვენი „კეთილი ძია“, საწყალს, როგორ დასწყებოდა გული...

ხომ არ სჯობს ბუშის სახელობის პარგიაც შევქმნათ და ასე გავახაროთ ჩვენი ჭიაც და „ვარდებით შობილი“ ქვეყანაც?

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბრწყინვალე დახვედრით წაქეზებულებმა 26 მაისსაც ბუკ-ნაღარა დავეცით, ერომანეთისთვის ამაღლებული სიტყვები არ დავიშურეთ და სპათა სიმრავლეძლიერებით გული ვიჯერეთ.

ხალხსაც მეტი რა უნდა, ოღონდ სანახაობა აჩვენე, „წარმატებული“ რეფორმებით თავი მოაწონე, „ჩვენი დროის გმირები“ შეაყვარე, ცოტაოდენი საწვავი სამაღლოდ მიეცი და ერთგულებას არ მოგაკლებს.

სამაგიეროდ, არავინ იცის, რა შედეგი მოჰყვება ე.წ. რეფორმას უნივერსიტეტში. ის, რაც ივანე ჯავახიშვილს თავის დროზე ქართული შეგნების „ქვაკუთხედად“ მიაჩნდა, დღეს ერთმანეთთან დაპირისპირებული „ბანაკების“ აღგილად ქცეულა.

ამბობენ, რომ ფაკულტეტების შემცირებასთან ერთად დაგვემილია პედაგოგ-მასწავლებელთა პერმანენტული შემცირებაც. მათ 60 პროცენტს სოციალური გარანტიებისა და ღირსების დაცვის გარეშე დაითხოვენ სამსახურიდან.

ხანდაზმულმა პროფესორმა მითხრა: „სულ კეთილდღეობაზე ლაპარაკობენ! და... ხომ ხედავთ, თვალში ნაცარს გვაყრიან. კომუნისტები რაღაცის გაკეთებას მაინც ცდილობდნენ, ხელფასიც იმდენი მქონდა, სიბერის არ მეშინოდა. ამათ უნივერსიტეტი დააქციეს, არავის რჩევას ყურს არ უგდებენ. მხოლოდ უნივერსიტეტის დაპაგარაკება და შევიწროება განუმრახავთ. რექტორი ერთპიროვნული მმართველია, ივანე ჯავახიშვილისეული დემოკრატიული სტრუქტურა და მმართველობა კი თვალსა და ხელს შუა გააქრეს... სამწუხაროდ, იდეაც შეიცვალა და თაობაც. ამათ მხოლოდ შოუ და ფული აინტერესებთ. ცოდნა სასაცილოა მათთვის. იმ თაობის ლექტორებსა და მასწავლებლებს დაგვეცინიან, ხანდაზმულთას ნერვიულობაც ემატება და ადამიანებს გულები უსკდებათ. ძველი ხალხი პანგა-პუნგით იხოცება, მაგრამ ღმერთი ზემოდან იყურება“.

„დამკვრელურად“ ებრძვიან კორუფციასაც და ტელევიზიით ახალ-ახალ შოუებსაც გვთავაზობენ. ვინ აღარ „ემსხვერპლა“ ამ ბრძოლას – გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ გამგებელი, გამგებლის მოადგილე, პროკურორი, მოსამართლე... არ დაუჭერიათ, მაგრამ ამ პროცესების ერთი დრამატული ნაწილია ყოფილი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თვითმკვლელობაც...

ტექნიკური უნივერსიტეტის ღირსებაშელახული მასწავლებელი სახეზე ხელებს იფარებდა და ტელეკამერას ემალებოდა. ვინმემ იკითხა, რამ უბიძგა მას დანაშაულისკენ? ამბობენ ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ონკოლოგიურ საავადმყოფოში მკურნალობდა, წამლის და პურის ფული არ ჰქონდა, 53-ლარიანი ხელფასით კი მრავალშვილიან ოჯახს როგორ შეინახავდაო!

სამაგიეროდ, კორუფციასთან მებრძოლი „დამკვრელი“ ჩინოვნიკი, ვისაც, ალბათ, ათას ლარზე მეტ ხელფასს აძლევენ, ტელეეკრანიდან კიდევ ერთი დამშაშავის დაკავების ამბავს სიამაყით გვამცნობდა.

სამწუხაროდ, საქართველოში კატასტროფულად იმაგი დანაშაულთა რაოდენობამ, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, სიდუხჭირეა, განსაკუთრებით საშუალო და წვრილი ფენა იჩაგრება. საშუალო ფენის ჩამოყალიბებას ხომ საშველი ისევ არ დაადგა. პირიქით – უარესობა უფრო მეტად იგრძნობა... უამისოდ რა დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე შეიძლება, საერთოდ, საუბარი?

ამ ფონზე ხელისუფლება მოუმასკარადებს არ გვაკლებს. რუსლანას „ფუნდრუკზე“ გადაყრილ ათასებს ახალ-ახალი „თამაშობანი“ ემატება. ჩვენ ევროპელები ვართ და ევროპულად უნდა ვიცხოვროთო, სიამაყით ამბობენ ქვეყნის მესვეურნი, ამიგომ მათ უნდა მივბაძოთ, გადავკეტოთ თბილისის შთავარი გამზირი და „ეკოლოგიურად სუფთა გარემოში“ გავერთოთ...

მშვენიერი იდეაა სახალხო სეირნობა, ოღონდ ასევე მშვენიერ, დალაგებულ სახელმწიფოში. საკითხავია, დიდი სეირნობით შეპყრობილი თბილისის მერი ერთხელ მაინც თუ დფიქრებულა გარემოვაჭრე ქალების ბედზე, მათს გატანჯულ სახეებზე, დაკარგულ ქალურობასა და სინაზეზე...

ნახეთ მსოფლიოს ნებისმიერი პროგრესული ქვეყანა, განა იქ ქალები ასე გამოიყურებიან? წესრიგის დამყარება კარგია, მაგრამ ულუკმაპაუროდ რომ სგოვებ ათასობით ოჯახს და დასაქმების არანაირ ალტერნატიულ საშუალებას არ სთავაზობ? განა როდემდე მოიომენს ხალხი?..

სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ოდენ „საქართველოს ჰიმნის“ დამღერება არ არის, თითოეულ მოქალაქეზე ზრუნვაა, მისი უფლებების დაცვაა.

ერეკლე მეფემ, ვინც ასი ომი მოიგო, ქართული ვერცხლის ფულზე სამართლიანობის ემბლემად სასწორი გამოახატვინა, თვითონაც ყველაფერს გადასდებდა, წვრილმანი სადაო საქმეების გარჩევაში ერეოდა და საშუალო საუკუნეების გერმანელ იმპერატორივით ცაცხვის ან ჭადრის ხის ქვეშ უყვარდა დაჯდომა, რათა უბრალო ხალხის საჩივარი მოესმინა და განჩინება გამოეტანა.

მოდად რომ იქცა, ჩვენი დიდი მეფეებითა და წარსულით თავმოწონება, რეალურად მივბაძოთ, საქმით და არა სიტყვით...

უკვე ალაპარაკდნენ, რომ პრეზიდენტის გამოსვლები ცკ-ას მდივნების სიტყვებს დაემსგავსა, სადაც მხოლოდ მიღწევებზეა ლაპარაკი, ხალხის საწუხარი კი არ ჩანს... სამაგიეროდ, „ანდროპოვის ყურებს“ წირვას გამოუყვანენ (ცდილობენ, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით ანგრევენ)... მერე რა, რომ ბუნება ჯიბრით გვექცევა და სგიქია დაუხდობლად გვიტევს. ჩვენ მისი არ გვეშინია, რადგან „მღერა-შექცევამი“ მაგრები ვართ, ლამაზადასაც „ვცეკვავთ“, ნიღბიანთა „მასკარადებსაც“ ვაწყობთ და მტერმოყვარესაც გულებს ვუხეთქავთ!

მერე რა, თუ ნახევარი საქართველო ბნელში ზის და შუქი ენაგრება. მაშინ უფრო დაგვაფასებს, როცა სინათლეს ხანდახან მიეცემთ და გავაბედნიერებთ...

თამარ შაიშმელაშვილი

◎ სამეგობროდ გაწვდილი ხელი

საშუალობოდ აფრენილი მტრედები

ამას ადამიანი აკეთებს ისე, როგორც საჭიროა, თუმცა ეს მისთვის არავის დაუვალებია – ასე განმარტა ტერმინი „ინიციატივა“ მოაზროვნე ელბერტ ხაბარდმა. საჭირო და კეთილშობილური ინიციატივა ქართველმა სტუდენტებმა გამოიჩინეს.

საქმე ისაა, რომ ქართულ-აფხაზური შუღლის გამო გულნატკენი ახალგაზრდობა კონფლიქტის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შეტანას ლამობს. ჩვენმა სტუდენტობამ ამის დემონსტრირება 24 ივნისს, საზოგადოებრივი ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთობ საინტერესო ფორმით მოახდინა.

თავდაპირველად ამ ინიციატივის არსზე ვიტყვი. ქართველი სტუდენტების თვალსაჩინო ნაწილი აფხაზი თანაგოლების გაცნობის, მათთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების, თანამშრომლობისა და მეგობრობის სურვილს გამოთქვამს. ამისათვის მათ სოხუმში გასაგზავნი ღია წერილის ტექსტი შეიმუშავეს, სადაც სწორედ ამგვარი მოწოდებაა გაჟღერებული და რომელიც, აფხაზურ ენაზე თარგმნილი, იქაურ ტელევიზიაზე გადაეგზავნება და ასე მარტივად ხელმისაწვდომი გახდება მის აღრესატთათვის.

დიდი ფორმატით დაბეჭდილი წერილი ინიციატივის ავტორებმა ტელევიზიის სკვერშიც გამოაკრეს. საქართველოში მოქმედი სტუდენტური ორგანიზაციებისა და თვითმმართველობების წევრებმა ამ წამოწყებისადმი სოლიდარობა მასზე ხელმოწერებით დაადასტურეს.

აქვე აღსანიშნავია ერთი რამეც: ქართველი სტუდენტების ჭარბი დოზით პოლიტიზების შესახებ ყველას კარგად მოგვეხსენება. ამის გამოა, რომ ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტობა თანდათან იქცევა და ბოლო დროს ერთობ მომრავლებული სხვადასხვა სტუდენტური ორგანიზაციაა ერომანეთთან მკვეთრ დაპირისპირებასაც არ ერიდება.

მიუხედავად ამისა, საინტერესო ინიციატივისა და ჭეშმარიტი იდეის გარშემო ყველა მათგანი ერთ ძარღვად შეიკრა და სამერმისო საქმეში ერთმანეთის გვერდით დგომა არ იჩოთირა. პირიქით, ყველა მათგანი პირზე ღიმილითა და იმედით საუბრობდა ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთიანობის აუცილებლობაზე. სტუდენტობა კი, მოგეხსენებათ, ის ძალაა, რომელსაც ამგვარ საქმეში ლომის წილის დადება ძალუძს.

სწორედ ამის გამო ვერ ფარავდნენ კმაყოფილებას ინიციატორები, რომლებზეც ორიოდ სიტყვის თქმა ნამდვილად ეგების.

„სოხუმი რომ დაეცა, 7 წლის ვიყავი. მახსოვს ტელევიზორში ვუყურებდი ამ ომის საშინელ კადრებს და ცხარე ცრემლით ვტიროდი. მას შემდეგ ჩემი და ჩემი მეგობრების ფიქრი და გონება გამუდმებით აფხაზეთის და იქაურ თანამოძმეებთან ძველებური, მშვიდობიანი და კეთილმეყოფლური ურთიერთობების აღდგენის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს დღესაც“, – ამას მაზა ქოიავა ამბობს, ვისაც აფხაზი სტუდენტებისთვის სამეგობრო მესიჯის გაგზავნის იდეა დაებადა და თანამოაზრეებთან ერთად მისი ხორცშესხმისათვის აქტიურ ქმედებებს მიჰყო ხელი.

რამდენიმე თვის წინათ, მან და მისმა მეგობრებმა თავიანთი პოზიცია კავკასიურ სახლსა და გაზეთ „კავკაზსკი აქცენტშიც“ დააფიქსირეს, მაგრამ მაშინ მათს ინიციატივას რამე გამოხმაურება და, მით უმეტეს, არც რამე რეზონანსი არ მოჰყოლია.

ამჯერად კი ინიციატივის ავტორებმა ამ წამოწყებას აქციის ფორმა მისცეს.

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აფხაზ სტუდენტებში ნამდვილად აღმოჩნდება ჯანსაღი და კეთილგონიერი ძალა, რომელიც ჩვენს ინიციატივას უპასუხებს და სამეგობროდ გაწვდილ ხელს ჩამოგვართმევს“, – ოპგიმისტურადაა განწყობილი ზაზა ქოიავა.

აფხაზი სტუდენტებისადმი გაგზავნილი წერილიც ასე თავრდება: „ველით თქვენგან საპასუხო წერილს“.

ამ ოპგიმიზმისა და საერთოდ ქართველი სტუდენტობის ამგვარი პოზიციის გაზიარება ყველას უეჭველად გვმართებს. მით უმეტეს, რომ დღია ქართულ-აფხაზური ყინულის გასალღობად აქტიურად ვიმოძრაოთ, ამ მოძრაობის ავანგარდისტობა კი სწორედ ქართველი ახალგაზრდობის საკისრებელია.

დაბოლოს, სტუდენტების ამ აქციას არც სიმბოლურობა აკლდა: მათ ძველი საკომუნიკაციო ხერხი გაიხსენეს და ფეხზე გზავნილშებმული მტრედები იმ მიმართულებით გააფრინეს, საითაც გახედვა წლების წინათ გაჩენილ წყლულს გვიახლებს.

მტრედი კი, მოგეხსენებათ მშვიდობის სიმბოლოა და იმედს ვიტოვებთ, რომ მინიჭებულ „წოდებას“ ეს ფრინველები ჩვენს შემთხვევაშიც გამართლებენ.

ჯაბა ხუბუა

◎ ოჰოჰო!

ჯაჭვიჯული ოტვიტი და ჯუფსურიჯული სტივიკი

როგორ შეიცვალა სოციალური მდგომარეობა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ? აგვიანებს თუ არა ხელისუფლება ბიუჯეტიდან პენსიებისა და სოციალური შეღავათებისთვის საჭირო თანხების გადარიცხვას? ისევ არსებობს თუ არა დებიტორული დავალიანებები? ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსს მამუკა მაჭავარიანს უნდა შევხვედროდი, მაგრამ ვიდრე მის კაბინეტამდე მივიდოდი, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის მისაღებში თავმოყრილ მოქალაქეებთან შევყოვნდი. „სახელმწიფოს მხრიდან ჩვენთვის გამეტებულ გროშებს კი ვიღებთ, მაგრამ მთელი დღე ამ უთავბოლო რიგში ვდგავართო“, – ამბობენ ერთ-ერთ ასაკოვანი ქალბატონი. ეს ადამიანები ბოლო ორ-სამ თვეში ერთ-ერთ ბანკში ელოდებიან, ოფისში ასეთ ადამიანთა ნაკადი ყოველ დილით ასობით ადამიანია. ეს ადამიანები ძველ საპენსიო დავალიანებებზე ელოდებიან ფულს. ეს ფული ბანკებიდან ოფისებში ბანკის ავტომობილებით ჩამოაქვთ. ოფისებიდან ეს ფული ფოსტალიონებს ანაწილებენ. ფოსტალიონებს ეს ფული ოფისებიდან ბანკის ავტომობილებით ჩამოაქვთ

№ 151. სამშაბათი, 28 ივნისი, 2005 წელი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

წვინდა ქართული კვლევა

(მეორე გვერდიდან)

ცუდი ბინა

საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინა, რომელშიც, ოფიციალური ვერსიის თანახმად, გარდაიცვალა ზურაბ ყვანია, კორპუსის სხვა ბინებისგან გამოირჩევა მხოლოდ ფანჯრებზე ახალი გასოსებით და რკინის კარით.

ეს ბინა ყველაზე ნაკლებად ტოვებს „კონსპირაციულის“ შთაბეჭდილებას (გამოაცხადეს, რომ ბინა განკუთვნილი იყო პრემიერის საიდუმლო შეხვედრებისთვის). იქნებ, სწორედ ეს არის ქართული დემოკრატიის რეალიები: ჩვეულებრივი კორპუსის მცხოვრები თავის კიბის უჯრედზე ნებისმიერ წუთს შეიძლება პირისპირ შეეჩეხოს სახელმწიფოს ხელმძღვანელს...

ტელეფონის ყურმილში ჩამესმა ხმა, რომელმაც შიშისგან შემძრა: მელაპარაკებოდა განსვენებული პრემიერი. გიორგი ყვანიას ხმის გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელია მისი უფროსი ძმის ხმისგან.

გიორგის შევხვდი მის ოფისში. პრემიერის ძმა ბიზნესმენია. გიორგიმ მითხრა, რომ თავდაპირველად მან მთლიანად ირწმუნა გამოძიების ვერსია უბედური შემთხვევის შესახებ. ეჭვი კი შეეპარა მოგვიანებით. და მაშინ, გიორგიმ თვითონ დაიწყო ამ საქმის გამოძიება:

— ფაქტები, რომლებიც ნელ-ნელა ამოტივტივდნენ, არა მარტო მრავალ კითხვას ბადებს უბედური შემთხვევის ვერსიის სარწმუნოების შესახებ, არამედ ეჭვსაც კი არ გოვებს, რომ ეს ასე არ იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მკვლელობაა, — მითხრა გიორგიმ.

ყვანიას ოჯახის წევრებისგან განსხვავებით, იუსუპოვის მამას ამ ვერსიის სისწორეში ეჭვი პირველ დღეს შეეპარა. შეეპარა ეჭვი თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლებამ განაცხადა: საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინა ეკუთვნოდა მის ვაჟს. აზერბაიჯანული სოფლის ყარაჯალის აღმინისტრაციის მეთაურმა იაშა იუსუპოვმა კარგად იცოდა, რომ მისი ვაჟი ნამდვილად არ იყო ამ ბინის არც მფლობელი და არც დამქირავებელი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ავბედითი ბინა უქირავებია პრემიერის დაცვის წევრს მიხეილ ძაძამიას.

— ჩემს ვაჟს ჰქონდა თავისი ბინა თბილისში, ვარკეთილის მასივში, — თქვა უფროსმა იუსუპოვმა. — იგი იქ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. მაგრამ 2 თვებერვლს ღილით, რაღაც ცოლი და შვილი ჩვენ დაგვიგოცა, თვითონ კი თბილისში დაბრუნდა. მას შეეძლო პრემიერი მიეღო თავის სახლში. რაში დასჭირდებოდა საღღაც წასვლა?

იაშა იუსუპოვს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ვაჟი მოკლეს. თანაც, მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ უბედური შემთხვევის ინსცენირება უფრო დამაჯერებელი გამხდარიყო. მას მხოლოდ ერთი რამ ვერ გაუგია: რაზე ფიქრობდნენ ის ადამიანები მაშინ, როცა მსხვერპლის როლისთვის ეროვნებით აზერბაიჯანელი შეარჩიეს:

— ჩვენში მოქმედებს სისხლის აღების კანონი. ჯერ კიდევ ვეკვეს მართლმსაჯულების იმედი, მაგრამ იმ გარეწრათაგან ცოცხალს არავის დაგოვებთ.

ლანდების ვახშამი

ბარდაბეილიშვილთა ნათესავების მონაყოლით ჩვენ აღვადგინეთ მოვლენათა ქრონოლოგია. ცნობილია, რომ იმ დღეს ზურაბ ყვანიამ სამუშაოზე დაჰყო ეს დაახლოებით 23 საათამდე. სახელმწიფო კანცელარიიდან მან დედას შეუარა. შარგავას ქუჩაზე მდებარე ამ ბინამდე სახელმწიფო კანცელარიიდან მისვლას ავტომანქანით 10 წუთზე მეტი არ სჭირდება. თანაც, პრემიერს, როგორც წესი, დაცვის ესკორტი ახლდა. ზურაბ ყვანიას დედა, ქალბატონი რემა იხსენებს, რომ ზურაბმა მასთან დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო, ვახშამს არ მიჰკარებია, რადგან, როგორც თქვა, დიეტას იცავდა. ამ დროს მათთან შევიდა მეზობელი ქალი. როცა პრემიერი ბინიდან გადიოდა, დარეკა მისმა მობილურმა ტელეფონმა. ზურაბმა უპასუხა: „ჰო, მოვდივარ“. ნათესავებს ჯერჯერობით ვერ დაუდგენიათ, დედის ბინიდან ყვანიას გამოსვლის ზუსტი დრო.

ეს დაახლოებით იყო 23 საათსა და 30 წუთსა და 23 საათსა და 45 წუთს შორის შუალედში. როცა პრემიერის მანქანა დაიძრა, მას, როგორც ყოველთვის, თან ახლდა დაცვა.

დაახლოებით იმ დროს, როცა პრემიერი გამოდიოდა თავისი სამუშაო კაბინეტიდან, რაღ იუსუპოვი მივიდა ავტოსადგომთან ვარკეთილში. სადგომის მფლობელი იხსენებს, რომ იმ დროს, როცა რაღი გადმოვიდა ავტომობილიდან, დარეკა მისმა მობილურმა ტელეფონმა. იუსუპოვი ძალზე გაღიზიანებული ჩანდა, აშკარად უკმაყოფილო იყო, რომ იგი ასე გვიან შეაწუხეს. შემდეგ რაღი კელავ ჩაჯდა მანქანაში და წასელისას ავტოსადგომის მფლობელს უთხრა, რომ ერთ საათში დაბრუნდებოდა. მანქანიდან მან ასევე დაურეკა თავის მეზობელს, რომელიც იმ დროს სამსახურში იყო, და უთხრა, რომ საბურთალოდან დაბრუნებისას, შეუელიდა და შინ წამოიყვანდა.

იუსუპოვის მანქანა იპოვეს საბურთალოს ქუჩაზე მდებარე კორპუსის მახლობლად. იუსუპოვი, ალბათ, თვითონ გადმოვიდა მანქანიდან და ბინაში შევიდა. მეზობელმა დაინახა, რომ შუაღამისთვის კიდევ ერთი ადამიანი მივიდა საღარბაზოსთან, დაკაკუნა № 3 ბინის კარზე, კარი შიგნიდან გაიაღეს.

ის, თუ რა მოხდა ამის შემდეგ, საქართველოში ალბათ, სულ რამდენიმე ადამიანმა იცის. გენერალური პროკურატურის ვერსიის თანახმად, ყვანია და იუსუპოვი ბინაში საუბრობდნენ, თამამობდნენ ნარდს, სვამდნენ კონიაკს და აყოლებდნენ ძეხვს, ყოველივე ეს კარგად ჩანს შემთხვევის ადგილზე გადაღებულ ოპერატიულ ფოტოზე. ამის შემდეგ კი ისინი მოიწამლნენ მხუთავი გაზით. ცოტა არ იყოს, უცნაურია, თუ როგორ ჭამდა ყვანია ძეხვს მაშინ, როცა მისი თქმით, დიეტაზე იყო. როგორც ყვანიას ძმამ თქვა, ზურაბი თამბაქოს აქტიური მწეველი იყო, მაგრამ პრემიერის მიერ მოწეული სიგარეტების ნამწვები ბინაში ვერ იპოვეს. 31 ნამწვი ამოიღეს ნაგვის ყუთიდან, მაგრამ ყველა ეს სიგარეტი დიდი ხნის წინათ იყო მოწეული. გიორგი ყვანიას თქმით, ზურაბი სიგარეტს მხოლოდ ნახევრამდე ეწეოდა. ბინაში ნაპოვნი ნამწვებიდან, მხოლოდ ერთი იყო ნახევრამდე მოწეული. უფრო მეტიც, როცა გენერალურმა პროკურატურამ პირველად უჩვენა ჟურნალისტებს ოპერატიული ფოტოები, აშკარად ჩანდა, რომ მაგიდაზე საფერფლე არ იყო, ხოლო რიგა ამის თაობაზე პრესამ გაოცება გამოთქვა, ოპერატიულად გადაღებულ ფოტოებზე უცებ გამოჩნდა საფერფლე, რომელიც კონიაკის ბოთლის და ნარდის გვერდით იდო. ყველა ამ გაუგებრობისა თუ ჯადოქრობის მიუხედავად, გამომძიებელი, რომელიც ამ საქმეს უძღვებოდა, წაახალისეს და დანიშნეს ქვემო ქართლის რეგიონის პროკურორის თანამდებობაზე.

თვით პროკურატურაშიც არავის აღელვებს ასეთი კითხვა: როგორ მოხდა, რომ ორმა ადამიანმა, რომლებმაც რამდენიმე საათი დაჰყვეს ბინაში, სვამდნენ კონიაკს, ჭამდნენ, თამაშობდნენ ნარდს, არ დატოვეს თითის ანაბეჭდები? ეს ხომ შეუძლებელია? არადა, ეს უცნაური ფაქტი დაფიქსირებულია ოფიციალური ექსპერტიზის დასკვნაში. ბინაში იპოვეს 35 თითის ანაბეჭდი, რომელთაგან რვის „წაკითხვა“ შესაძლებელია, მაგრამ ამ ანაბეჭდებიდანაც არც ერთი არ ეკუთვნის არც ყვანიას და არც იუსუპოვს. უფრო მეტიც, ყველა თითის ანაბეჭდი ძველია. თებერვლის იმ ღამეს, № 3 ბინის არც ერთ სტუმარს — არც ცოცხალს და არც მკვდარს — საერთოდ არ დაუტოვებია არანაირი თითის ანაბეჭდი. ეს კი ეკაფიქრებინებს მხოლოდ ერთს: მათი დატოვება ვიღაცას ძალზე არ სურდა.

გაფუჭებული ტელეფონი

გახსოვთ, იაპონური საშინელებათა ფილმი „ზარი“? ტელეფონი რეკავს და ვიღაც კვდება. იუსუპოვი შეხვედრაზე დაიბარეს ტელეფონით. მობილურით ლაპარაკის დროს იგი ძალზე გაღიზიანებული იყო, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამ დროს იუსუპოვი პრემიერ-მინისტრს ესაუბრებოდა. ისიც კარგად გვახსოვს, რომ როცა ზურაბ ყვანია ჯერ კიდევ დედასთან იყო, მას ვიღაცამ

მარინა პერევოზჩინა, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 27 ივნისი.

დაურეკა მობილურით, რომელსაც ყვანიამ უპასუხა — „მოვდივარ“. ვინ იყო ეს, იუსუპოვი?

მაგრამ პროკურატურაში დაადგინეს, რომ იუსუპოვი იმ დღეს პრემიერს საერთოდ არ დაკავშირებია.

პრემიერის სიმ-ბარათიდან კი იუსუპოვს დაურეკეს, თუმცა, დარეკეს კომპანია „მაგთის“ ნომრიდან, რომლითაც ყვანია აღარ სარგებლობდა, რადგან ერთი წლის წინათ გადავიდა „ჯეოსელზე“, ძველი სიმ-ბარათი კი ვიღაცას მისცა, თუმცა, იგი კელავ ყვანიას სახელზე ირიცხებოდა. 28 იანვარს ამ ნომრიდან დაურეკეს შეერთებულ შტატებში ვიღაც ქალბატონს, რომელმაც აღიარა, რომ მას დაუკავშირდა პრემიერის პირადი მცველი მიხეილ ძაძამია, სწორედ ის ადამიანი, რომელმაც დაიქირავა ბინა საბურთალოს ქუჩაზე. თუმცა, ძაძამია რაგომღაც უარყოფდა, რომ პრემიერმა აითხოვა მას სიმ-ბარათი. 2 თებერვალს ამ ნომრიდან იუსუპოვს დაურეკეს ორჯერ და ერთხელ — თვით ძაძამიას.

მიხეილ ძაძამია, უნდა ითქვას, რომ ამ ისტორიაში ძირითადი ფიგურაა. რაგომ არის, რომ ყოველივე ის, რაც მოხდა მას შემდეგ, რაც ყვანია მშობლების ბინიდან გამოვიდა, ასევე მანამდე, სანამ გვამებს იპოვიდნენ, მხოლოდ ძაძამიას სიტყვებიდან არის ცნობილი? პრემიერის დაცვის უფროსმა კობა ხარჩილაძემ კი იმ დღეს გადაწყვიტა საერთოდ დაესვენა, და 23 საათისთვის უკვე შინ იყო. გიორგი ყვანიამ მიხეილ ძაძამიასთან თავისი საუბარი ჩაიწერა ფარული კამერით. მე ეს ფირი ვნახე.

„მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ცნობა

17.01.1961. — მოკლეს კონგოს რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა. ერთი წლის შემდეგ მაშინდელი ბელგიის აფრიკის საქმეთა მინისტრის საბუთებში იპოვეს ბრძანება ლუმუმბას მოკვლის შესახებ.

28.02.1986. — მოკლეს შვედეთის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე. მისი მკვლელობა, ალბათ, სამუდამოდ დარჩება საიდუმლოდ.

4.11.1995. — მოკლეს ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი. მკვლელი — იგალ ამირი იატაკკქვეშა ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ეიალის“ წევრი აღმოჩნდა. მაგრამ კითხვა, „ვინ მოკლა რაბინი“ ისრაელში დღემდე უპასუხოდ რჩება.

27.10.1999. — ოთხი ტერორისტი შეიჭრა სომხეთის პარლამენტის სხდომათა დარბაზში და გახსნა ცეცხლი. მოკლეს პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი. ტერორისტები დააკავეს, მაგრამ მკვლელობის შემკვეთის ვინაობა დღემდე უცნობია.

12.03.2003. — მთავრობის სახლის ცენტრალური შესასვლელის წინ სნაიპერმა მოკლა სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი. დანაშაული გახსნილად ითვლება. როგორც ჩანს, ჯინჯიჩს ანგარიში გაუსწორეს იმის გამო, რომ მან ჰააგის ტრიბუნალს გადასცა სლობოდან მილოშევიჩი.

(გაგრძელება იქნება).

ნავთობის ფასმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია

ნავთობის ფასმა დაამყარა ახალი რეკორდი. ფასების ზრდა განაპირობა იმან, რომ როგორც ბაზარზე ვარაუდობენ, მოთხოვნამ, შესაძლოა გადააჭარბოს მიწოდებას.

Light Sweet ტიპის მსუბუქი ტეხასური ნავთობის მიწოდების კონტრაქტების ღირებულებამ ერთ ბარელ ნავთობზე 60,46 დოლარს მიაღწია; ამასთან, ბრენტის ტიპის ნავთობი, რომლის ფასიც დარგში ერთერთ მთავარ მაჩვენებლად ითვლება, 50 ცენტით გაძვირდა და ახლა ამ ტიპის ბარელი ნავთობი 50,86 დოლარი ღირს.

ანალიტიკოსთა პროგნოზით, ნავთობის ფასები მომავალშიც შენარჩუნებული იქნება 60-დოლარიან ნიშნულზე, რადგან მოთხოვნა ამ ნედლეულზე არ კლებულობს.

ამ ბოლო წლის განმავლობაში ნავთობის მსოფლიო ფასებმა თითქმის ორი მესამედით მოიმატა, თუმცა, ღირებულების ზრდას არ გამოუწვევია მოთხოვნის შემცირება.

განვითარებადი ქვეყნები, ისეთები, როგორიც არის ჩინეთი და ინდოეთი, განაგრძობდნენ ნავთობს აქტიურად შესყიდვას, მაშინ, როცა მომმარაგებელი მთელს მსოფლიოში ავტომობილების კმა-გაწყობისთვის უპირატესობას ანიჭებდა დიზელის სათბობს და ბენზინს. ნავთობის კრტელის — ოპეკ-ის (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) მისამართით არაერთგზის გაისმა მოწოდებები იმის თაობაზე, რომ გაეზარდა ნავთობის წარმოება, და ოპეკ-მაც გადაწყვიტა, ეს მაჩვენებელი დღეღამეში 500 ათასი ბარელით გაეზიდებინა. ამჟამად ნავთობის საღღეღამისო მოპოვება 28 მილიონ ბარელს შეადგენს. კრტელი აცსადეს, რომ ყველაფერს აკეთებს, რათა როგორმე ჩააცხროს ბაზარზე შექმნილი დაძაბული ვითარება.

ოპეკ-ის პრეზიდენტმა და ქუვეითის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა შეიპ აპმად საბაჰმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციამ უკვე დაიწყო ნედლეულის წარმოების მოცულობის ახალი შესაძლებლობების გახხილვა.

ნავთობის მორიგი გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა ასევე ირანის პრეზიდენტის არჩევნებში ულტრაკონსერვატორ მაჰმუდ აჰმადინეჯადის გამარჯვება.

ჯანყი ერაყში „შესაძლოა წლების განმავლობაში გაგრძელდეს“

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს არ გამორიცხავს, რომ ერაყელ მოთარეშეთა წინააღმდეგობის ჩახშობას, შესაძლოა, არაერთი წელი დასჭირდეს.

ამერიკის ტელევიზიით გამოსვლისას რამსფელდმა განაცხადა, რომ მოთარეშეებს საბოლოო ანგარიშით დაამარცხებს ერაყის არმია და არა კოალიციის ძალები.

მანამდე რამსფელდი აღნიშნავდა, რომ ერაყში ამერიკელთა ხელისუფლებას აქვს კონტაქტები მოთარეშეთა ლიდერებთან.

შეერთებული შტატების ხელისუფლება აღიარებს, რომ იბრძვება ამ ქვეყანაში წინააღმდეგობა ამერიკელთა ჯარების მიმართ. მიმდინარე წლის აპრილიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მუშაობა დაიწყო ახალმა მთავრობამ, უკვე მოკლეს ათასზე მეტი კაცი, ძირითადად — ერაყელები.

ერაყში შექმნილი ვითარება მრავალი ამერიკელის უკმაყოფილებას იწვევს, რასაც მოწმობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა.

„ფოქს ნიუზისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რამსფელდმა თქვა: „ძირგამომხრელი საქმიანობა შეიძლება გაგრძელდეს ხუთი, ექვსი, რვა, 10, 12 წელი. კოალიციის ძალები და უცხო ქვეყნების ჯარები არ იბრძოლებენ მოთარეშეთა წინააღმდეგ. ჩვენ შევქმნით ისეთ ვითარებას, რომელშიც მოთარეშეებს დაამარცხებენ თვით ერაყელი ხალხი და ერაყის უშიშროების ძალები“.

რამსფელდის აზრით, ერაყში ასევე მოსალოდნელია ძალადობის ესკალაცია მუდმივი მთავრობის ახალი არჩევნების წინ, რომელიც დეკემბერში უნდა გაიმართოს.

პენტაგონის შეფის თქმით, ერაყში მოქმედ ამერიკელ სამხედროებს ახლა ძალზე სჭირდებათ მხარდაჭერა თავიანთ საბშობლოში, მაგრამ, როგორც რამსფელდს მიაჩნია, არ ღირს ყოველთვის გაითვალისწინონ საზოგადოებრივი აზრის არაერთი გამოკითხვის შედეგები.

„თუ თვალყურს ვადევნებთ ყველა გამოკითხვის შედეგს, შეიძლება თავბრუ დეეგეხვეს, — განაცხადა რამსფელდმა. — პრეზიდენტის, მთავრობის და სამხედრო ხელმძღვანელობის ამოცანაა ამერიკელ ხალხს გააცნოს ერაყში მიღწეული პროგრესი და, უამბოს ის, რაც ხდება ამ ქვეყანაში“.

ამერიკელ მოქალაქეებს სიმშვიდის შენარჩუნებისთვის მოუწოდა გენერალმა ჯონ აბიზეიდმაც. „ამ ომის წარმოების დროს, ჩვენ გარანტირებული უნდა გვქონდეს მხარდაჭერა საკუთარ სამშობლოში“, — თქვა მან.

ამერიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ბირთვული პროგრამის განახლებას აპირებს

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ პირველად შეერთებულ შტატებში იწყება პლუტონიუმის წარმოება.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის აღმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება პლუტონიუმ-238 წარმოების განახლების შესახებ. როგორც ფედერალური ხელისუფლება იტყობინება, უახლოესი 30 წლის განმავლობაში აიდაჰოს შტატის ეროვნულ ლაბორატორიაში აწარმოებენ 150 კილოგრამ ამ რადიაქტიურ ნივთიერებას. პროექტის განხორციელებას დასჭირდება 1,5 მილიარდი დოლარი.

მართალია, პროექტის ავტორები არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რისთვის დასჭირდა შეერთებული შტატების მთავრობას პლუტონიუმი, მაგრამ „ჰერალდ ტრიბიუნის“ მონაცემებით, რადიაქტიური მასალები „განკუთვნილია საიდუმლო მისიისთვის“.

„პლუტონიუმის წარმოებას ჩვენ ვიწყებთ ეროვნული უშიშროების ინტერესებისთვის“, — აღნიშნა ენერგეტიკის დეპარტამენტის კვების იზოტოპური წყაროების განყოფილების ხელმძღვანელმა ტიმოთი ფრეიზერმა.

ამავე დროს, მან კატეგორიულად უარყო ყოველგვარი ვარაუდი იმის თაობაზე, თითქოს „საიდუმლო მისიები“ უკავშირდებოდეს ბირთვულ იარაღს, თანამგზავრებს ან კოსმოსის მილიტარიზაციას.

მაგრამ ასეთი ბუნდოვანი ახსნა-განმარტება კიდევ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს ამერიკელ მოქალაქეებს შორის, აღნიშნავენ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ვაიომინგის შტატში, რომელიც ესაზღვრება აიდაჰოს, ეკოლოგები ემზადებიან ბრძოლისთვის.

„მწვანეთა“ მონაცემებით, მთავრობის ახალმა პროექტმა შეესაძლოა ზიანი მიაყენოს „იელოუსტუნის“ და „გრანდ ტეტონის“ ეროვნულ ნაკრძალებს. აღსანიშნავია, რომ „გრანდ ტეტონის“ ეროვნული პარკი ამერიკელი მილიონერების და მილიარდერების საყვარელი დასასვენებელი ადგილია, იქ ხშირად ისვენებს ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინიც.

პლუტონიუმ-238 არ გამოიყენება ბირთვული იარაღის წარმოებისას. მას უფრო იყენებენ ელექტროენერგიის წარმოების დროს.

იაპონიაში ახალი მატარებლის გამოცდა გაიმართა

იაპონიამ დაიწყო ახალი თაობის ზეჩქაროსნული მატარებლის გამოცდა, რომელიც, შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი გახდეს. იაპონიის უმსხვილესი სარკინიგზო კომპანიის სპეციალისტებმა შეიმუშავეს ახალი „ტყვია-მატარებელი“. ამ კომპანიის აღმინისტრაციას მიაჩნია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ასეთი ექსპრესები ივლიან ქვეყანაში საათში 360 კილომეტრი სიჩქარით. ჯერჯერობით რეკორდსმენია ფრანგული მატარებელი, რომ-ლის სიჩქარე საათში 350 კილომეტრს აღწევს.



თვით იაპონიაში კი მატარებლებს „სინკანსენის“ სუპერჩქაროსნულ ტრასებზე შეუძლიათ საათში დაახლოებით 300 კილომეტრის განვითარება. საცდელმა მოდელმა, რომელიც რვა ვაგონისგან შედგებოდა, წარმატებით ჩაუარა გამოცდა და იაპონიის პონსიუს კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სპეციალურ ხაზზე საათში 275 კილომეტრ სიჩქარის განვითარება შეძლო. მატარებლის შემქმნელებს იმედი აქვთ, რომ 2008 წლის დამდეგისთვის, როცა უნდა დასრულდეს გამოცდები, იგი რელსებზე შეძლებს მაქსიმალური სიჩქარის — საათში 405 კილომეტრის განვითარებას.

მატარებლის კომერციული ექსპლოატაცია, სავარაუდოდ, 2011 წლისთვის უნდა დაიწყოს, როცა იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დასრულდება ახალი სპეციალური ხაზის მშენებლობა.

ჩვეულებრივი მუხრუჭების გარდა, მატარებელი აღჭურვილია საპაერო დამუხრუჭების სისტემებით. როგორც ვარაუდობენ, საგანგებო დამუხრუჭების შემთხვევაში მატარებელს, რომლის სიჩქარე საათში 360 კილომეტრი იქნება, სრული გაჩერებისთვის მაინც მოუწევს დაახლოებით 4 კილომეტრის გავლა.

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ აფხაზეთიდან დევნილი. 1995 წლიდან სამედიცინო-საექსპერტო კომისიამ დამიდგინა ინვალიდობის II ჯგუფი და დამენიშნა პენსია. არ მაქვს შრომის წიგნაკი, მიჭირს არქივებში სიარული შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთების აღსადგენად.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ახალი საპენსიო კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მივიღებ თუ არა გადიდებულ პენსიას?

ბერმანე ნინიძე.

— პინაიდან შეკითხვაში არ მიუთითებთ ასაკს, არც იმას აღნიშნავთ რამდენი წლის შრომის სტაჟი გაგაჩნიათ და ინვალიდობით რა სახის პენსია გაქვთ დანიშნული (სახელმწიფო თუ სოციალური), მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას, მოგცეთ ზუსტი განმარტება მომავალში რა ოდენობის პენსია დაგენიშნებათ.

აღნიშნულ საკითხზე გირჩევთ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახალი საპენსიო კანონის ამოქმედებისთანავე, რაც, სავარაუდოდ, 2006 წლის 1 იანვრიდან უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულ დრომდე კი გირჩევთ, თუ შესაძლებელია შეაგროვოთ თქვენი შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთები.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

◎ თაღლითობა

ჟესოლვა თუ ჩვენების ვალსტჟა?

ხალხის ელექტროენერგიით მომარაგება ბოლო წლებში ძალზე ყბადაღებულ თემად იქცა. მის შესახებ ყველა საგაზეთო პუბლიკაცია ერთად რომ შევკრიბოთ, კარგა მსხვილი ბიბლიოთეკის ფონდებიც ვერ დატევენ. უშუქობით ისედაც გამწარებულ ხალხს ახლა თაღლითობაც თუ დაემატება, კაცმა ნამდვილად ბაწარში უნდა გაყოს თავი.

დიღმის მასივში განთავსებული მაღაზია „ქეთის“ მეპატრონე ინგა შარაშენიძე იძულებული გახდა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოსთვის მიემართა. იგი მოხმარებული ელექტროენერგიით გადასახადთან დაკავშირებით არაერთგზის მოატყუეს.

ინფორმაცია ამის თაობაზე რედაქციას ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მიაწოდა.

შარაშენიძის განცხადებით, ჯერ ერთი, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელი ქვითრები ბოლო ორი წლის განმავლობაში მასთან „თელასის“ თანამშრომელ მურაბ გაგნიძეს მიაქონდა და გადასახდელ თანხასაც ხელზე იღებდა. ამის მიუხედავად აღმოჩნდა, რომ გადაუხდელობის მიზეზით, მაღაზია „ქეთის“ კომპანია „თელასის“ მიმართ დიდი დავალიანება დაუგროვდა. როგორც გაირკვა, ზ. გაგნიძე „თელასში“ მართლაც მუშაობს ტექნიკოსად. ფინანსურ პოლიციაში კი განაცხადა, რომ ი. შარაშენიძისგან რაიმე თანხა ხელზე არ აუღია.

როგორც ჩანს, თელასელებს მაღაზია „ქეთი“ და მისი მეპატრონე რაღაცნაირად თვალში არ მოუვიდათ და მას — გაუმართაობის მოგივით — მრიცხველი გამოუცვალეს. ეს ფირმას 50 დოლარი დაუჯდა. სინამდვილეში კი მოკვლევისას გაირკვა, რომ მრიცხველი გამოცვლას არ საჭიროებდა. მისი გაუმართაობის თაობაზე მაღაზია „ქეთის“ მეპატრონეს „თელასისთვის“ არ მიუმართავს. გარდა ამისა, გაფორმებულ საბუთებში მხოლოდ მრიცხველის შეკეთება იყო მითითებული. თუმცა, თელასელებმა ფინანსურ პოლიციაში იმ 50 დოლარის შარაშენიძისთვის გამორთმევის ფაქტზეც უარი განაცხადეს.

ამავე დროს, როგორც ირკვევა, „ქეთი“ კარგი „ეთოგია“ და ამიტომაც მასზე თვალი ბევრ სხვასაც უჭირავს. საქმე ის გახლავთ, რომ ცოტა ხანში მაღაზია „ქეთიში“ ვიღაც უცხო პიროვნება მივიდა. მან ი. შარაშენიძეს ზ. გაგნიძის სახელით ბარათი მიუტანა. ამ წერილის შინაარსი ისაა, რომ მაღაზიაში რაღაც „ლევი“ ელექტროხაზის გამოყვანანაში ზ. გაგნიძე 240 ლარს ითხოვდა. მაღაზიიდან ეს ფული წერილის მომტანს ზ. გაგნიძეზე გადასაცემად გაატანეს, მაგრამ... როცა ფირმაში არც „ლევი“ ხაზი შევიდა და ზ. გაგნიძის კვალიც დაეკარგათ, მაღაზიის მეპატრონე ი. შარაშენიძემ „თელასის“ თანამშრომლებს მისვლა და საქმის ვითარებაში გარკვევა სთხოვა. იმ „240-ლარიანი“ ბარათის დანახვაზე ზ. გაგნიძემ სასტიკად იუარა და განაცხადა, რომ მას პირველად ხედავდა, რაც მთავარია, მისი წასელის შემდეგ ეს წერილი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მაგრამ... მის მაგივრად „ის“ უცნობი მამაკაცი გამოჩნდა, რომელმაც წერილი მაღაზიაში მიიტანა და, ჰოი, საოცრებავ! კაცს ხელში ისევ ის „დაკარგული“ წერილი ეჭირა, თანაც ი. შარაშენიძეს დაემუქრა — პოლიციაში მომხდარზე კრინტი არ დაძრაო, თორემ...

ცხადია, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველო მოკვლევას აგრძელებდა. ახლა ძნელი სათქმელია, იმ კაცის მუქარამ გაჭრა, თუ „ქეთის“ მეპატრონეს თაღლითები „შეეცოდა“, მაგრამ მოკვლევის პროცესი დასასრულს რომ მიუახლოვდა, „ქეთის“ მფლობელმა ფინანსურ პოლიციას დამაგებინი ახსნა-განმარტება მისცა, სადაც აღნიშნა: — „თელასის“ თანამშრომლებთან პრეტენზიები არა მაქვს, რადგან მათ ჩემგან წაღებული თანხები... ვალად აიღესო (?!).

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში თელასელი თაღლითების მიმართ სისხლის სამართლის საქმე მაინც აღიძრა. მათი „პაგიოსნების“ საკითხს, საბოლოო ანგარიშით, გამოძიება დაადგენს.

დაბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ პოლიციაში ეს სულაც არ გახლავთ პირველი საქმე, სადაც „თელასის“ თანამშრომელთა არაკეთილსინდისიერ მოქმედებებზეა ლაპარაკი. როგორც აქ აცხადებენ, მოსახლეობა უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს და თანხა, სხვადასხვა საეჭვო პირებზე გადაცემის ნაცვლად, შესაბამის სალაროებში შეიტანოს.

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს რესპუბლიკა

№ 151. სამშაბათი, 28 ივნისი, 2005 წელი.

◎ მხარე

ზუგდიდის ქრონიკები

„ექსტრა“ შიდა ბაზარს უტევს

ჩაის ფირმა „ექსტრა“ ის სამეურნეო ერთეულია, რომელსაც, მიუხედავად საბაზრო ეკონომიკის მძიმე წნეხისა, ერთხელაც არ დაუყრია ფარ-ხმალი. პირიქით, ყოველწლიურად ზრდის პარტნიორთა რიცხვს და იფართოებს სამოქმედო არეალს. საბაზრო ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, ფირმის პროდუქცია საწყობში არ ჩერდება, რადგან ის მაღალი ხარისხისაა, სწრაფრეალიზებადია.

წინა წლებში „ექსტრას“ კონტრაქტი ჰქონდა დადებული ბრიგანულ ფირმა „ლიპტონთან“ – ყოველწლიურად 80-100 ტონამდე ჩაის მზა პროდუქციას უგზავნიდა. „ლიპტონის“ წარმომადგენლები ორჯერ იყვნენ ზუგდიდში და კმაყოფილება გამოთქვეს შავი ბაიხის ჩაის გამო. განსაკუთრებით მის ეკოლოგიურ სისუფთავეს გაუსვეს ხაზი.

შარშან „ექსტრამ“ გაცილებით უფრო სარგებლიანი სავაჭრო ხელშეკრულება გააფორმა უკრაინის ერთ-ერთ სამომხმარებლო პარტნიორორგანიზაციასთან. როგორც ფირმის დირექტორმა ვალერ ქვარაიამ მითხრა, წლეულს 120-150 ტონამდე შავი ბაიხის მზა პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას აპირებენ. აქედან 100 ტონა უკრაინაში გაიგზავნება.

ფირმას აგრეთვე დაგეგმილი აქვს წლეულს შიდა ბაზარზეც გაიგანოს თავისი მაღალხარისხოვანი პროდუქცია „ორანეეს“ სახელწოდებით, რომელსაც ჩინური ტექნოლოგიით დამზადებენ.

სოფელ რუხში იჯარით აღებული აქვთ 80 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, სადაც დასაქმებულია 50-ზე მეტი სოფლის მცხოვრები. მათ გაკარგულებაშია ოთხი ჩაის საკრეფი და ერთი საგვირთო მანქანა ნედლეულის გადასაზიდად.

ფირმის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა ასამდე კაცს აღწევს; მათი თვიური სახელფასო ანაზღაურება 120 ლარს აღემატება.

ფირმის სამეურნეო წარმატებებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მას სახელმწიფოს მიმართ ძირითადი გადასახადის დავალიანება არ აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1995 წელს ხელისუფლების დავალებით თურქმენეთში გადაგვირთულ პროდუქციაზე დარიცხულ საშემოსავლო და სოციალურიცხებიან საურავებს, რაც ერთგვარ შავ ლაქად რჩება ფირმის სამეწარმეო ბიოგრაფიაში.

თუ ინდივიდუალური მრიცხველები არ იქნა, ხალხი ერთმანეთს დაჭამს

ზუგდიდის ენერგოკომპანიის მუშაკებს დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება უჭირთ. რა დასამალია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური მდგომარეობა საგანგაშოა. არადა, საბაზრო ეკონომიკის კანონი ყველასგან ერთნაირად ითხოვს. მოიხმარე ელექტროენერგია? – გადაიხადე კიდეც!

მაგრამ ამ პროცესში ყველაფერი ელექტრომრიცხველზეა დამოკიდებული. იგი აღრე ყველა ოჯახში იყო დამონტაჟებული. ახლაც ისევ ყველა ოჯახში უნდა დამონტაჟდეს, თორემ გახარჯული ელექტროენერგიის საფასურს მოსახლეობას ზუსტად ვერ ვუანგარიშებთ. მხოლოდ საგრანსფორმატორო ქვესადგურებზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებით ფონს ვერ გავალთ: მოსახლეობა საკონტროლო თანხის თანაბრად გადანაწილებამ ერთმანეთს დაუპირისპირა. დიდი ნაწილი სრულიად სამართლიანად არის განაწყენებული ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ამიგომ ინდივიდუალური გამრიცხველიანება იდეალური ვარიანტია ორივე მხარისათვის, – როგორც ენერგიის მიმწოდებლის, ისე მომხმარებლებისთვის.

როდესაც სახელმწიფომ კომუნალური მრიცხველების დაყენება დააფინანსა, მაშინ ამით შესაძლებელი გახდა გახარჯული დენის რაოდენობის გაკონტროლება და კიდევ, რაც მთავარია, კომუნალურმა მრიცხველებმა ხალხი ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვას შეაჩვია. გაცილებით უკეთესი იქნებოდა ენერგოსადისტრიბუციო კომპანიის ზუგდიდის ორგანიზაციამ (გოჩა ქობალია) იზრუნოს და სახელმწიფოსაგან მოითხოვოს ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

ერთი სიტყვით, ელექტროპროდუქციის გამყიდველმა სერიოზულად უნდა იფიქროს საკუთარი თავისა და მყიდველთა სარგებლიანობაზე, შესაძლებლობაზე, ანუ, მარგიგად რომ ვთქვათ, მოგება-წაგებაზე.

საგამოცდო ციებ-ცხელების მოლოდინში

მალე ივნისიც ჩამთავრდება და ეროვნული გამოცდების ციებ-ცხელება დაიწყება. წლეულს გამოცდები ახალი წესით ჩაგარდება. მან ბოლო უნდა მოუღოს კორუფციასა და „ნათლიმამობას“. უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიები უნდა შეავსონ ნიჭიერმა, მაღალი ინტელექტის მქონე ახალგაზრდებმა.

მისაღები გამოცდები ჩაგარდება ქ. ფოთში (800 აბიტურიენტი) და ქ. ზუგდიდში (1628 აბიტურიენტი). ვნახოთ, ვინ იქნებიან უძლიერესნი.

განაწყენებული კაცის ბარათი

ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა ამას წინათ ერთობ სევდიანი მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა თავის ერთგულ და საიმედო ამომრჩევლებს და რაიონის კულტურის სახლში დაუნიშნა შეხვედრა-დიალოგი.

ბაგონმა გოჩა ფიფიამ შეხვედრისას განაცხადა, მრავალ საკითხში არ ვეთანხმები ხელისუფლებას, უკმაყოფილო ვარ მისი საკადრო პოლიტიკით და ამიგომ თქვენგან რჩევა-დარიგებას ვითხოვ აქტიური სადეპუტატო მოქმედებისთვისო.

მისი ეს „სტატუს-კვო“ მოსაწვევ ბარათშიც იყო გაცხადებული: „რეკონსტრუქციულ ხელისუფლებას აქვს საკუთარი ვიწრო ინტერესთა სფერო. მე, სხვაგვარად მოაზროვნე დეპუტატს, ხელისუფლება არ მწყალობს, ჩემს არც ერთ სიტყვას არ ეხმიანება. არადა, წელიწადნახევარი მიილია. ვფიქრობ, რომ რეალური ხელისუფლების მოსაპოვებლად სრულიად სხვანაირი ბრძოლაა საჭირო... თუ მირჩევთ, რომ დავგოვო პარლამენტი, უყოყმანოდ დაგემორჩილებით. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფარ-ხმალს დავყრი და პოლიტიკურ ბრძოლას გავერიდები. ამ ბრძოლაში თანადგომა მჭირდება... მომავალი გამარჯვების იმედით ბრძოლა ღირს. „მომავალი ჩვენს ხელშია!“ – ამ ლოზუნგით გავიმარჯვეთ ჩვენ არჩევნებში...“

ყველაფერი ნათელია. მაჟორიტარი დეპუტატი სახელისუფლებო ბრძოლისათვის ემზადება. საინტერესოა, ამჯერად როგორი თანადგომა ექნება მას ზუგდიდელი ამომრჩევლებისაგან?

ქურდი დაიჭირეს და... გაუშვეს

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ადამიანივით სხვადასხვა ორგანოსგან შედგება. მათგან პოლიციას და სასამართლო სისტემას განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. მათ გამართულ, სამართლიან და უანგარო მოქმედებაზე უშუალოდ არის დამოკიდებული ქვეყნის სიძლიერე თუ დემოკრატიული დირსებები.

პოლიციამ საზოგადოებრივი მართლწესრიგი უნდა დაიცვას, სასამართლო დაწესებულებას კი ევალება, სასჯელი გამოუტანოს დამნაშავეს.

ამას წინათ სოფელ ჭკადუაშში ჯართის „ბიზნესმენებმა“ გაქურდეს სტადიონი და ყოფილი კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლი, საიდანაც წაიღეს ტონობით რკინის კუთხოვანები და მავთულბადე.

სოფლისა და დასასვენებელი სახლის ხელმძღვანელებმა დახმარებისათვის ზუგდიდის რაიონის პოლიციის სამმართველოს მიმართეს. სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ რეზო ზარქუას მითითებით შეიქმნა საგანგებო ჯგუფი. პოლიციელთა საზრიანმა და ოპერატიულმა მოქმედებამ უმალ გამოიღო შედეგი (განსაკუთრებით იყოჩაღეს პოლიციის ზედა ეწერის ქვეგანყოფილების მუშაკებმა). ობიექტების გაქურდვის ორგანიზატორი ჭკადუაშელი მერაბ ჭითანავა აღმოჩნდა. მან დანაშაული აღიარა.

საქმე ზუგდიდის სასამართლოს გადაეგზავნა. მოსამართლემ მეგისმეგი შემწყნარებლობა და „დემოკრატიულობა“ გამოიჩინა – ქურდს პირობითი სასჯელი მისცა და პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაანთავისუფლა.

შეიძლება ვინმემ თქვას, მერე რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დაიქცაო. არა, ბატონო, ქურდმა პასუხი უნდა აგოს, თორემ ეს ქვეყანა მართლა თავზე დაგვექცევა. თუმცა, მოსამართლესაც რა ექნა, როცა დაზარალებულმა იურიდიულმა პირებმა, საჩივარ-განცხადების ავტორებმა – კოოპერატივ „ჭკადუაშის“ და დასასვენებელი სახლის თავკაცებმა ქურდის შეწყალებისა და პატიების წერილით მიმართეს მოსამართლეს (?!).

რა დასამალია და, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებით პოლიციელთა იმედი შეიღახა. საბოლოოდ კი, უგულებელყოფილია სოფლის მოსახლეობის ინტერესი, რადგან ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილი გაპარტახდა და გაველურდა.

უჩივლე, თუ გინდა

მარტინდან შპს „სუპერმარკეტის“ (ქალაქის ბაზრის) ცენტრალური შესასვლელი კარი რუსთაველის ქუჩიდან რაიონის გამგეობის განკარგულებით დაიკეტა. მართალია, მაშინ ეს აუცილებლობიდან გამომდინარე გაკეთდა, მაგრამ ამან ზუგდიელების გარკვეული ნაწილის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

განსაკუთრებით განაწყენდნენ გარემოვაჭრე და ხელმე მოვაჭრე პირები, რომლებმაც ერთობლივად არაერთი აქცია მოაწყვეს ქალაქში.

ახლახან ზუგდიდის სასამართლომ (მოსამართლე – ნუგზარ სარია) განიხილა შპს „სუპერმარკეტის“ პარტნიორთა სარჩელი და რაიონის გამგეობის განკარგულება ძალადაკარგულად გამოაცხადა. თუმცა რაიონის გამგეობა ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს და ამ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს.

მაგრამ, ასეა თუ ისე, მოსარჩელეთა მოთხოვნა სამართლიანია. აგრარული ბაზრის ცენტრალური შესასვლელი უნდა გაიხსნას!

ოდიკ ძუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

◎ ღვაწლი

უსწავლელი კაცი და გამხმარი ხე ერთი და იგივეა. რამდენადაც კაცი ნასწავლია, იმდენად უფრო სასარგებლო საქმეს გააკეთებს... ეს სიტყვები დიდ მეწარმესა და ქველმოქმედს დავით სარაჯიშვილს ეკუთვნის. ეს იყო კაცი, რომელმაც საქართველოში კონიაკის წარმოების დახვეწილი, კლასიკური ტექნოლოგია შექმნა, რომელსაც მანამდე მხოლოდ ფრანგები ფლობდნენ. დავით სარაჯიშვილს მთელი კავკასიის მასშტაბით ჰქონდა გაშლილი თავისი საქმიანობა და ამ კაცმა გაჭირვების ჟამს არა მარტო ქართველები, მთელი კავკასია დააპურა.

მთელ კავკასიას აჭიკებდა



ამ დღეებში დავით სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად თბილისს მერიაში „კავკასიელთა ძმობის მემორიალური კომპლექსის“ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. დამსწრეთ პროექტი გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის უფროსმა ზურაბ ჯიბლაძემ. მან თქვა:

– ერთიანი და ძლიერი კავკასიის იდეის განხორციელებას მიუძღვნა თავისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი საზოგადო მოღვაწემ და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა. სწორედ ამიგომ დავით სარაჯიშვილის საერთაშორისო ფონდის ინიციატივით და ქალაქ თბილისის მერიის დადგენილებით გადაწყდა, რომ კავკასიელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა საქართველოში, თბილისში უკვდავეყოთ, რომელსაც „კავკასიის ძმობისა და მეგობრობის მემორიალური კომპლექსი“ ეწოდა.

პროექტმა ერთნაირი წარმატება ჰპოვა როგორც მხატვართა, არქიტექტორთა, მოქანდაკეთა, ისე მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა შორის. მემორიალის კომპლექსის შემადგენლობა შესაძლებლობას იძლევა თავი მოვუყაროთ კავკასიელ ხალხთა სხვადასხვა სფეროს შემოქმედთა ნიმუშებს. კომპლექსში განთავსდება „დიდების მეგობრობის სასახლე“, „უკვდავთა გალერეა“ – გამოფენა ღია ცის ქვეშ, „დიდების ხეივანი“, პანო „კავკასია“ და სტელა – კავკასიელთა ერთიანობის სიმბოლო. მეგობრობის სასახლის სტუმრებს საშეალება ეძლევათ, ინტერესით გაეცნონ კავკასიის მეწარმეობის ისტორიის მუზეუმს, ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და ფილმოთეკას, მანაბა მაგომედოვას სახელობის ხალხური რეწვის სახმაგერო სალონს, სადაც გამოიფინება თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქის, ცნობილი გერმანელი მხატვრის, პროფესორ ვერნერ რუდიგერის კავკასიურ თემებზე შექმნილი ის 150-მდე ფერწერული ტილო, რომელიც საჩუქრად უძღვნა კავკასიელ ხალხებს.

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლა-ლექტორიუმი „მშვიდობიანი კავკასია“. ახალი პროგრამით გათვალისწინებულია კავკასიის პრობლემატიკით დაინტერესებული სხვადასხვა ეროვნების ნიჭიერი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მოზიდვა. მათთვის კავკასიელ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და უმდიდრესი ტრადიციების მიპრება.

და, აი, დაიბადა ახალი იდეაც, გამოიცეს „კავკასიის ახალი ენციკლოპედია“. ოფიციალურ გამოცემათა სამსახურმა – საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკამ მეგად რთულ, საპასუხისმგებლო და ამავდროულად საშეალებელო საქმეს მოკიდა ხელი, თუმცა პროექტის განხორციელების შემთხვევაში, არა მხოლოდ ქართულ, არამედ კავკასიის საგამომცემლო სიერცეში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყება. მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები თვლიან, რომ ათელის წერგილი სწორედ კავკასიის დიდი ენციკლოპედია იქნება. მისი გამოცემა ხელს შეუწყობს კავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებასა და გაღრმავებას.

ამყამად ინტენსიურად მუშაობენ 14-გომიანი ენციკლოპედიის I გომის მომზადებაზე. ენციკლოპედია გამოიცემა რუსულ და კავკასიურ ენებზე, ხოლო მისი ელექტრონული ვერსია ითარგმნება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე.

ცალკე წიგნად დაისგამბება კავკასიელ ხალხთა თორმეტენოვანი უნიკალური ლექსიკონი, რომელიც ალბათ კავკასიელებისთვის სამაგიდო წიგნად გადაიქცევა. I-II გომს მკითხველი 2006 წელს მიიღებს.

კავკასიის ხალხთა დაახლოებისა და მეგობრობის განსამტკიცებლად თბილისში დაგეგმილია აგრეთვე კავკასიის უხუცესთა დარბაზის მოწვევა.

ყველა ამ პროექტის განხორციელების პროცესს უხელმძღვანელებს საორგანიზაციო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ქალაქ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

დავით სარაჯიშვილის ხსოვნის ღღეს მაღლიერმა შთამომავლობამ ვეირგვინით შეამკო დავით სარაჯიშვილის ძეგლი, ხოლო შემდეგ ქაშვეთის ეკლესიაში მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ლალი ძინძლაძე

◎ ინფორმაცია

კანონპროექტი „ლეიბორისტებისთვის“ მიუღებელია

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევას მოითხოვს.

როგორც შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ ხელისუფლების მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც თბილისის მერის საკრებულოს წევრთა მიერ არჩევას გულისხმობს, „ლეიბორისტული პარტიისთვის“ მიუღებელია.

ნათელაშვილის განცხადებით, იგი მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის ევროკავშირს, ეუთოს და გაეროს, მიიღონ ზომები „დემოკრატიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯის“ აღსაკვეთად.

„ივ“ ერთი თვის განმავლობაში 45 630 გამოძახებაზე გავიდა

უშასო სსწრაფო სამედიცინო დახმარება „03“ საქართველოს მასშტაბით ამოქმედებიდან დღემდე 45 630 გამოძახებაზე გავიდა.

როგორც ინტერპრესნიუსს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში განუცხადეს, 45 630-დან 6 461 შემთხვევაში პაციენტი ჰოსპიტალში იქნა გადაყვანილი, ხოლო 338 ზარი ცრუ აღმოჩნდა.

რაც შეეხება დედაქალაქს, ერთი თვის განმავლობაში თბილისში 18 917 გამოძახება დაფიქსირდა, აქედან 2901 პირი ჰოსპიტალში იქნა გადაყვანილი, დაფიქსირდა 150 ცრუ გამოძახება.

სსწრაფო სამედიცინო დახმარება „03“-ის გამოძახება საქართველოს მასშტაბით უფასო მიმდინარე წლის 26 მაისიდან გახდა. ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, პროგრამას სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ახორციელებს.

ამ მიზნით 2005 წელს ფონდის ბიუჯეტში 11 მლნ ლარია გათვალისწინებული.

მკაცრი კონტროლი გაზიან სასმელებზე

რამდენიმე დღის წინათ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის სანიგარიული ზედამხედველობის ინსპექციამ დედაქალაქის ყველა რაიონის გამგეობას გამაგრილებელი გაზიანი სასმელებისა და ბურახის დისლოკაციის ადგილების აღრიცხვა მოსთხოვა.

თბილისის სანიგარიული ინსპექციის პრესსამსახურის განმარტებით, ქუჩებში გამაგრილებელი სასმელების გაყიდვა სპეციალურ კონგროლს უნდა ექვემდებარებოდეს. რეალიზაგორებმა უნდა წარმოადგინონ რეალიზებადი სასმელი წყლის ხარისხის წარმომაელობის სერგიფიკატი, ხოლო გამყიდველს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა უნდა ჰქონდეს. თბილისის სანიგარიული ინსპექციის ცნობით, დაუშვებელია გაზიანი სასმელი წყლების ქუჩებში დაღვრაც. ამისათვის სპეციალური საკანალიზაციო მილები უნდა არსებობდეს.

„გამაგრილებელი გაზიანი სასმელების რეალიზაგორებს გამგეობები სამ მოთხოვნას წაუყენებენ: რეალიზაციის ადგილებში იყოს წყალგაყვანილობა; მოწესრიგებული იყოს კანალიზაცია და მისი რეალიზაცია მოხდეს ერთჯერადი ჭიქებიდან. გარდა ამისა, რეალიზაგორებმა ვატანი (სიროფი) აუცილებლად უნდა შეიძინონ ლიცენზიერებულ მაღაზიებში“, – განაცხადა მედიანიუსთან საუბრისას მერიის სამოქალაქო სამსახურის სანიგარიული ზედამხედველობის ინსპექციის პიგიენური შეფასებისა და ანალიზის განყოფილების უფროსმა დავით ავალიანმა.

კონტრაბანდული ტვირთი მოძრაობს

საპაბრულო პოლიციის დეპარგამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთთან გააჩერეს ავგომანქანა „ოოსკვიჩი“, რომელსაც მართავდა თბილისში მცხოვრები, 31 წლის გრიგოლ ნოზაძე. მას საბუთების გარეშე წითელი ხიდიდან თბილისში გადაპქონდა 600 ლარის ღირებულების 600 ლიგრი დიზელის საწვავი.

ავგომანქანა გვირთიანად გადაეცა საფინანსო პოლიციას.

საპაგრულო პოლიციის დეპარგამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანთან გააჩერეს ავგომანქანა „ვაზ-2101“, რომლის მძღოლს, გორის რაიონის სოფელ ბერბუკში მცხოვრებ, 40 წლის გიორგი რუსიგაშვილს გორიდან თბილისში გადაპქონდა 2300 ლარის ღირებულების 1500 კოლოფი უაქციზო სიგარეგი.

ავგომანქანა გვირთიანად გადაყვანილია ფინანსურ პოლიციაში.

იაღლუჯას ნაგავსაყრელზე გაზრდილი ღორების ჯერიც დადგა

რუსთავის ვიცე-მერმა ზაზა იმედაშვილმა ქალაქის სანიგარიულ და ვეგსამსახურეს ნაგავსაყრელების შემოწმება დაავალა.

იმედაშვილის განცხადებით, არსებობს ინფორმაცია, რომ იაღლუჯას მთაზე განთავსებულ ნაგავსაყრელზე ღორების გამოკვება და გაბრდა ხდება. ნაგავსაყრელზე გაბრდილი ღორების ხორცი კი რუსთავისა და თბილისის ბაზრებში იყიდება.

რუსთავის სანიგარიული სამსახურის უფროსის ნუნუ ხამშიაშვილის თქმით, იაღლუჯას ნაგავსაყრელი მარნეულის რაიონის გერიგორიაზეა განთავსებული და კონგროლის განხორციელება ადგილობრივი სამსახურების კომპეგენციაში შედის.

„რუსთავის ნაგავსაყრელი უკვე შევამოწმეთ და იქ მსგავსი რამ არ ხდება. რაც შეეხება იაღლუჯას ნაგავსაყრელს, ჩვენ მარნეულში შესაბამის სამსახურებს ველაპარაკეთ და ინფორმაციის მოწოდება ვთხოვეთ. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი სამსახური რეიდს ორივე ნაგავსაყრელზე მაინც მოაწყობს“, – აცხადებს რუსთავის სანიგარიული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

ინტერპრესნიუსი, მედიანიუსი.

◎ წაიკითხეთ ორშაბათობით

მკითხველის სიხარული, ხელისუფლების სირცხვილი!

გამოვიდა, „ცისკარი“ მაინც გამოვიდა!

როდესაც ერთიანად ჰქონდათ გადაწყვეტილი იმედი ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებსა და მთავარ რედაქტორს ზაურ კალანდიას, როდესაც არსაიდან ხსნა არ ჩანდა და 153 წლის უპოპულარესი ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოცემა იძულებით უნდა დაეხუჭნათ, აკიაფდა იმედი და „ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლის მთავარმა რედაქტორმა, ძველმა „ცისკრელმა“, შესანიშნავმა პოეტმა და ჟურნალისტმა ლაშა ნადარეიშვილმა იკისრა „ცისკრის“ მფარველობა.

ამის შესახებ წერდა ქართული პრესა, წერდა „საქართველოს რესპუბლიკა“. მაგრამ, რა გგონიათ, ხელისუფლება, კერძოდ, კულტურის სამინისტრო დაფაცურდა, ემანდ, მთლად თავი არ მოგვეჭრას, ნადარეიშვილმა არ დაგვასწროს „ცისკრის“ გადარჩენაო?.. ყურიც არ შეუბერგყავს, გაშ-ფანდურები და ხალხისთვის თვალებში ნაცარშესაყრელი შოუები გააგრძელა...

ამასობაში კი, აი, გუშინ, გამოვიდა გაზეთი „ცისკარი“, გამოვიდა ქართული ინტელიგენციის სასიხარულოდ, ხელისუფლების სამარცხვინოდ, იმ ხელისუფლებისა, რომელსაც, სამწუხაროდ, არ უყვარს ლიგერაგურა!..

„ცისკრის“ თანამშრომლებს ამ ნომრისთვის, მართლაც, სახელდახელოდ შეურჩევიათ მასალები. აქ ჟურნალის უმდიდრესი ისტორიაც ჩანს და დღევანდელობაც, რომელიც ასე ავბედითი გამოდგა „ცისკრისთვის“.

ამ ავბედითობასაც გაუძღვებს მრავალჭირგადანახადი ჟურნალი, ხელისუფლების უყურადღებობასაც გაუძლებს და ასე, კეთილი და შორსგამხედი ადამიანების დახმარებით, ნელ-ნელა, კვლავ ჩადგება ჩვეულ „ფორმაში“, საგზეთო გამოცემიდან, ისევ ყოველთვიურ საინტერესო ჟურნალად მოევლინება მკითხველს, ძველებურად გაგვახარებს ნაირ-ნაირი მასალებით.

თქვენს იძულებით, ოღონდ კარგ სახეცვლილებას გაუმარჯოს, „ცისკრელებო!“

ვილენ მარდალეიშვილი.

◎ გახსენება

თაოების სინდისი და მშვენება

სოსო სტურუას გარდაცვალების გამო

თავისი ოჯახის და მეგობრების გულსაკლავად სწსო სტურუა უეცრად გაეცალა ცხოვრებას. ყველა ჩვენგანისთვის იმდენად მოულოდნელი იყო სოსოს ამქვეყნიდან წასვლა, რომ თავზარდაცემულებმა, გაოგნებულებმა, მაისის იმ ავბედით დღეებში, მცირე გამოსათხოვარის დაწერაც კი ვერ შევძელით.

უცნაურია, თითქოს თვით სიკვდილიც მოეკრძალა ამ ანგელოზური სულის ადამიანს, მძინარეს მოაკითხა და უხმოდ წაიყვანა სამარადისო ძილის საუფლოში, არავის გაუგონია მისი უკანასკნელი ამოძახილი.

წარმოუდგენელი უსამართლობაა ისეთი მოსიყვარულე ღედა-შვილის დაშორება, როგორიც ქალბაგონი მაყვალა და სოსო იყვნენ.

სოსოსა და მის უფროს ძმას გიორგის, იმთავითვე საქართველოს უანგარო სამსახურისთვის ზრდიდა წარმომავლობითა და დახვეწილი ინტელიგენგობით ცნობილი მათი ღედ-მამა.

სოსო სრულიად სხვა, მრავალთაგან გამორჩეული პიროვნება იყო. მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა ვიცოდით ეს და, ამდენად, ჩვენი მწუხარება გაორმაგებულია, რადგან იმ საბედისწერო ღღესვე მწვავედ ვიგრძენით ვის უნდა გამოვთხოვებოდით სამუდამოდ.

სოსო სტურუას უმწიკვლო ბიოგრაფიას და ხასიათს შელამაზება ოდნავადაც არ ესაჭიროება.

მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსგიგუტის დამთავრების შემდეგ სოსო სტურუა იმავე წელს შეუდგა მრომით საქმიანობას: საქართველოს მეცნიერებისა და გექნიკის სახელმწიფო კომიგეგის უცხოეთის განყოფილების უფროსი სპეციალისგი, შემდეგ – საქართველოს სახალხო კონგროლის რესპუბლიკური კომიგეგის თავმჯდომარის თანაშემწე, ამავე კომიგეგის საერთო განყოფილების გამგე, საქართველოს მინისგრთა საბჭოს თავმჯდომარის, შემდეგში პრემიერის სამდივნოს უფროსი იყო, წლების მანძილზე მოღვაწეობდა სხვადასხვა კერძო კომპანიაში, ბოლო წლებში კი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, შემდეგში სააგენგოს მინისტრის მოადგილის მრჩეველად. დაჯილდოებულია საპაგიო სიგელებით და მრავალი მადლობით. იყო საერთაშორისო სამართლის სპეციალისგი, საქართველოს იურისგთა კავშირის წევრი.

მშობლიურის გარდა, საფუძვლიანად ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს, იყო მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული ადამიანი.

მშრალი ანკეგური მონაცემები მიახლოებითაც ვერ გამოხგაგავს სოსო სტურუას დიდ ორგანიზაგორულ ნიჭსა და გამჭრიახობას, სისპეგაკეს, კეთილსინდისიერებას და გულმოდგინებას, რასაც იგი ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობის დროს ამჟღავნებდა.

შეუწყნარებელია ის, რომ თავისი ქვეყნის ისეთი ერთგული პაგრიოგის, როგორიც სოსო იყო, უდროოდ გარდაცვალების ძირითადი მიზეზი, ჩვენი ღრმა რწმენით, იყო ათეული წლების მანძილზე საქართველოში გამეფებული ცბიერება, უვიცობა, შური, გულგრილობა და უსულგულობა ადამიანის ბედისადმი, რომელიც ზეგას ულობავდა და მორალურად კლავდა არა მარგო ცნობილ პოლიგიკოსებს, არამედ ნიჭიერ და განათლებულ ახალგაზრდებსაც. ძალზე სამწუხაროა, რომ მისი სახელოვანი, საქვეყნოდ ცნობილი მამის დევი სტურუას მსგავსად, საქართველომ ვერც ჩვენი სოსოს ესოდენ თვალსაჩინო ნიჭიერება გამოიყენა.

თამამად შეიძლება თქმა – სოსო სტურუა რჩეულთა შორის რჩეული, ჩვენი თაობის სინდისი და მშვენება იყო. იგი ყველგან გამორჩეოდა თავისი ოჯახიშვილობით, განათლებით, საქმის ცოდნით და იუმორით. იყო უსაზღვროდ კეთილი, მოსიყვარულე, ულევ შინაგან სითბოს – ყველაფერს, რაც გააჩნდა, უხვად გასცემდა და სამაგიეროს არავისგან მოითხოვდა. მეგობრობაც ბოლომდე იცოდა, ამაშიც ყველას ჯვჯობდა.

ჭეშმარიგად სამაგალითოა, რაც მან ნაადრევად დაღუპული უახლოესი ადამიანის, უნიჭიერესი ახალგაზრდა მეცნიერის რუსუდან რიგვავას პაგივი მიაგო. მისი ბრწყინვალე ესე – „სიკეთისა და გულმოწყალების ძალა“ – შეუძლებელია აუღელვებლად, უცრემლოდ წაიკითხო, მან იგივე შეძლო რუსიკოს სახელის უკვდავსაყოფად, რაც მისმა მამამ, დევი სტურუამ, რომელმაც თავის სიყრმის მეგობრებს – თბილისის დამამშვენებელ ქალბაგონებს – ინოლა გურგულიას და ლია ლომინაძეს პოეგური შთაგონებით აღსავსე მოგონებები უძღვნა. რამდენის მოქმელია თუნდაც ეს ფაქტი – სოსოს წერილიდანვე ვიგეგით, რომ დევი სტურუას, რაც იგი თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას „მმანება ბასიანთან“ ქმნიდა, თამარ მეფის გარეგნობის დასახაგავად რუსუდან რიგვავას სილამაზე და კდემამოსილება ედგა თვალწინ.

სოსოს უახლოეს მეგობრებსა და ნათესავებს იმედად და ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ მისი თოთხმეგი წლის უმშვენიერესი ქალიშვილი ანა, შესახედაობითაც და ნიჭითაც, სტურუების სახელოვანი და ლამაზი ოჯახის ღირსეული შთამომავალია. მთელ მსოფლიოში სახელგანქმული ჟურნალისგი, დევის უფროსი ძმა, ბატონი მელორ სტურუა კმაყოფილებით აღევნებს თვალს ანას პირველ ჟურნალისგურ ნაბიჯებს და ფიქრობს, რომ გოგონას უთუოდ დიდი მომავალი აქვს.

სამაგალითო მოქალაქისა და მრავალი ღირსებით შემკული პიროვნების სოსო სტურუას წმინდა, უკეთილშობილეს სახეს ღროთა დინება ჩვენი გულიდან და ხსოვნიდან ვერასოდეს ამოშლის.

მეგობრების ჯგუფი.

იბეჭდება ავგორთა სარჯით.

№ 151. სამშაბათი, 28 ივნისი, 2005 წელი.

◎ პრემიერა

„ვეუბნებოდეთ რაც შეიძლება ბევრ ფულს და, იქმენ „ღუსი“ არ იქნება აქ!..“

ეს სპექტაკლი ჩვენი დროის ადამიანებზეა...

ემიგრაციის აქტუალურ პრობლემას ეხება პიესა, რომელიც გათამაშდა მიპატრ ამორნელმი... პრემიერა შედგა... ირაკლი აფაქიძის რეჟისორული ნამუშევარი უგულვარად აღწერს სამშობლოდან „გაძევებული“ ადამიანების როგორც ფიზიკურ სიბეზღვის, ისე დეპრესიულ სულიერ ექსკაზს... სლავომირ მროჟეკის „ემიგრანტები“ უნივერსალური რეალისტური პანორამაა, რომელიც გადმოგვცემს იმ გახიზნული პერსონაჟების საძაგელ და გულისამრევ ყოფას, რომელთაც არც სახელი დაარქვა და არც რომელმე ეროვნებას მიაკუთვნა ავტორმა... ისინი უსამშობლოდ დარჩენილ ემიგრანტებად მონათლა და სასტიკი გაანაზღვრა გამოუტანა.

– მე ჩემს მაყურებელს დიდი ხანია არ შეეხვედრივარ, 12 წელია ემიგრანტი ვარ და, ალბათ გასაგებია, რაგომაც ავირჩიე ეს პიესა, – **შესაბრება რეჟისორი ირაკლი აფაქიძე,** – ეს პიესა ჯერ ამსტერდამში დაიდგა და შემდეგ თბილისში ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა. თავიდან ეს დრამატული ნაწარმოები ჰოლანდიურ ენაზე მინდოდა დამედგა, მაგრამ მერე მიეხვდი, დიდ შეცდომას ვუშვებდი და გადაწყვეტე ამსტერდამში რუსულად გამეთამაშებინა. იცით, უცხოელსაც ინტერესებს იმ ხალხის ცხოვრება, რომელიც მათ ქვეყანაში წლობითაა შეფარებული და... ჩემეულმა ვერსიამ გაამართლა – სპექტაკლი ნახეს არა მხოლოდ ემიგრანტებმა, არამედ, ადგილობრივმა მოსახლეობამაც. მე ძალიან იშვიათად შემხვედრია ემიგრანტი, რომელსაც არ უნდოდეს შინ დაბრუნება. რაც საქართველოდან წაეედი, მას შემდეგ სულ ეცდილო სამუდამოდ ჩამოსვლას და, ვფიქრობ, სინამდვილეში ეს როგორ განვახორციელო.

– ამ სპექტაკლით თქვენ სამშობლოში დაბრუნდით?

– შეიძლება ასე თქვას... ეს სპექტაკლი მამუკა ხაზარაძემ ჰოლანდიაში ნახა და მისი ხელახალი ვერსიის შექმნაში სწორედ ის დამეხმარა. ასე რომ, ის აღმოჩნდა ახალ ამპლუაში – როგორც პროდიუსერი და როგორც ჩვენი სპექტაკლის ფოტოგრაფიც. იცით, რა ემოციური კაღრები დაიჭირა?!

თბილისში რომ მოვდიოდი, გერმანიაში რეზო ჩხიკვიშვილთან შევჩერდი, ღამის 3 საათზე ამერიკიდან ლევან უჩანეიშვილმა დარეკა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მიმინოს მსგავსად, მე, ლევანმა და რეზომ სამ ხმაში ვიმღერეთ „ვინც ჩვენზე ცული რამე სთქვას...“ თბილისში ჩამოსვლით და ამ სპექტაკლით მინდოდა ერთგვარად პატიება მეთხოვა ჩემი ქვეყნისა და ახლობლებისთვის, რომლებიც ასე დიდ ხანს მივატოვეიყო ემიგრანტი, ეს ჯოჯოხეთური სასჯელია, რომლის გადმოცემაც ძალზე ძნელია... ვფიქრობ, სცენაზე ამ ორმა არაჩვეულებრივმა მსახიობმა – ზურაბ ყიფშიძემ და გოგა პიპინაშვილმა ყველაფერი სწორად გაიგეს, შეიგრძნეს და კიდევაც გამოხატეს.

... „უცხოობაში არ არის სიმშვიდე!

როდის დავბრუნდები სამშობლოში?

– დავიგროვებ რაც შეიძლება ბევრ ფულს და, ჩემი დუხი არ იქნება აქ!..“

ეს არის თანამედროვე ემიგრანტის განაჩენი, რომელიც დრომ გამოუტანა, ან იქნება ცხოვრებამ მაცდურად უკარნახა... უკარნახა, რათა საკუთარი ტყავი გადაერჩინა, სხვისთვისაც ეშველა და ამ ზრუნვით სინდისი დაეშვიდებინა?!..

როგორც იტყვიან, ძალიან ძნელია საზღვარგარეთ ცხოვრება – სასტიკი, უხეში და დაუნდობელია... მთ უფრო მაშინ, როცა საკუთარი ჭერი არ გაქვს, როცა გიჭირს და ახლობელი გვერდით არ ყყავს, როცა ისევე ცხოვრობ, როგორც მაწანწალა ძაღლი, ანდა ვირივით მუშაობ და ხვდები, იმ საზოგადოებისთვის არარაობა ხარ, არ არის შენი ადგილი, მტვერი ხარ და მეტი არაფერი...

ამ ხალხის გაკიცხვა სულაც არ გვაპოვნინებს პასუხს კითხვაზე – როდის დაბრუნდებიან სამშობლოში, ან რაგომ არ ბრუნდებიან? პასუხი უნდა მოვთხოვოთ სწორედ მათ, ვინც ჩვენი ქვეყნიდან გასაქცევ პირობებს ქმნის.

როგორ ცხოვრობენ დროებით გადახვეწილი ქართველები უცხოობაში? – გაცრუებული იმედებით, წარსულის მოგონებებით, ბევრი ფულის მოპოვების პრინციპით, და კიდევ იმ იმედით, რომ „გამდიდრებულები“ შინ წავლენ დღეს თუ არა, ხვალ, იქნებ, მეგმაინც... ასე არსებობენ – ზოგი ბოლო იმედის რაინდის მსგავსად, ზოგი კი მონის მოდელის სულიერი მდგომარეობით... ამას ჰქვია მათთვის ცხოვრება?!

ყველა ემიგრანგის ბედი ერთნაირად საინტერესოა... საგულისხმოა ისიც, რომ მათთვის საქართველო არის აქაც და იქაც, საოცრად მონატრებული, თბილი, მაგრამ ოღნავ პრაგმატული. ემიგრანტების შვილებისა და შვილიშვილებისთვის, რომლებიც „დამტვრეული“ ქართულით ლაპარაკობენ, ვერც ეს ენა და ვერც საქართველო ვერ იქნება მშობლიური. მართალია, უფროსები ეუბნებიან და კიდეც შთაგონებენ, რომ მათი სამშობლო საქართველოა, მაგრამ ამგვარი სიტყვები მათთვის უკვე, აბსტრაქტულად ჟღერს...

არის კიდევ ის ორი უკიდურესობაც...

როცა უცხოეთიდან მშობლიურ გარემოში ბრუნდები, ეს ყოფა შენთვის მიუღებელი ხდება, ვერ ეგუები, თითქოს გეშინია იმის აღიარების, რომ ეს დაქცეული ქვეყანა შენი სამშობლოა და გინდა ისევ გაეცალო... გაექეცე, მაგრამ სად?

სცენაზეა, მართლაც, ორი ბრწყინვალე მსახიობი – **ზურაბ ყიფშიძე** და **გოგა პიპინაშვილი.** მათ ფილოსოფიურ დაილოგებსა თუ რემარკებით გამართულ მხჯელობაში საკმაოდ მძაფრად და ემოციურად აღიქმება ევროპული ცხოვრების პოსტულატები – მერკანტილიზმი და ვულგარული მატერიალიზმი, ყოველგვარ წრეს გადასული ეგოიზმი, პროვინციალური მეშჩანიზმი... ანუ ყველაფრი ის, რაც გენეტიკურად აკეთეს, დიდი გამარჯვებების დასაწყისია.

თემურ ქურხული, თბილისის პრემიერი: გია უდესიანმა მოსკოვში გამგზავრებამდე დაგვარწმუნა, რომ ამ შეჯიბრებისთვის ღირდა სახსრების გაღება. ჩვენც მხარი დავუჭირეთ. მიხარია, რომ იმედები გამართლდა და დღეს სპორტსმენებთან ერთად ვზეიმობთ გამარჯვებას.

ვალერი გიორგობიანი, პარლამენტარი: აი, მაგალითი, როგორ უნდა ვებრძოლოთ ნარკომანიას და როგორ დავამკვიდროთ საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესი.

დავით ნამგალაური, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯობარე: მოსკოვის ოლქის სპორტულ ბაზებზე გამართულმა ბატალიებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ, თანადგომის შემთხვევაში, ჩვენს სპორტსმენებს უფრო დიდ სარბიელზე შეუძლიათ უხვი ნადავლის მოხვეჭა...

შეხვედრის დასასრულს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონებსა და პრიზიორებს ფულადი ჯილდოები გადასცეს.

ვაჟა დანელია.

რობერტ ბაბოიანის ფოტო.

◎ წინ, საქართველო!

გამარჯვების გზებზე ვდგებით

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს სპორტსმენები გუშინ მოსკოვიდან დაბრუნდნენ. დედაქალაქის ხელმძღვანელობამ მათ კაფე „მსოფლიო სპორგში“ საზეიმო შეხვედრა მოუწყო.

გიორგი ულესიანი, თბილისის მერიის სპორგის საქალაქო სამსახურის უფროსი, დელეგაციის ხელმძღვანელი: ნამდვილად გვასახელეს ჩვენმა ახალგაზრდა ათლეტებმა. საქართველოს წარგზავნილებს სიამაყით გვევსებოდა გული, როცა დარბაზებში ქართველ სპორტსმენთა გამარჯვების აღსანიშნავად ჩვენი ჰიმნი ჟღერდა და მაღლა იწეოდა ხუთჯერიანი ეროვნული დროშა. დიდი მადლობა დედაქალაქის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

ბაბა ბეგბაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე: ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა ასახელეს სამშობლო. მჯერა, რომ ეს გოგონები და ვაჟები მომავალში უფრო სასახელო წარმატებებს მაღწევენ. რაც მათ ახალგაზრდულ თამაშებზე გაკეთდა, ეს ბიჯი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანია ამ გზაზე.

ზაზა ბეგბაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე: ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა ასახელეს სამშობლო. მჯერა, რომ ეს გოგონები და ვაჟები მომავალში უფრო სასახელო წარმატებებს მაღწევენ. რაც მათ ახალგაზრდულ თამაშებზე გაკეთდა, ეს ბიჯი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანია ამ გზაზე ეგეთ პირობებს ქმნის.

ბაბა ბეგბაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე: ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა ასახელეს სამშობლო. მჯერა, რომ ეს გოგონები და ვაჟები მომავალში უფრო სასახელო წარმატებებს მაღწევენ. რაც მათ ახალგაზრდულ თამაშებზე გაკეთდა, ეს ბიჯი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანია ამ გზაზე ეგეთ პირობებს ქმნის.

◎ ოლიმპიური დღე

ჯანმრთელობა გაიკაჟეს და პრიზებიც მიიღეს

კვირას უზეველო ხალხმრავლობა იყო რესპუბლიკის მოედანზე. თეთრ მაისურებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ჭარბობდნენ. ისინი საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით თავისუფლების მოედანზე გარბენისთვის ემზადებოდნენ.

ჩვენი ყურადღება პატარა ბიჭუნამ მიიპყრო, რომელიც ადგილზე ცქმუტავდა, თან ჭაღარათმიან კაცს ეკითხებოდა, ბაბუ, რანენ როდის დაიწყებათ. მისი ვინაობით დავინტერესდით. ლუკა კიკაბიძე ვარო, გვითხრა. 4 წლის ლუკა ცხობილი მოჭიდავისა და მწვრთნელის ემზარ კიკაბიძის შვილიშვილი აღმოჩნდა, რომელიც თურმე ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის სკოლაში ვარჯიშობს თავისუფალ ჭიდაობაში.

– ყველას უნდა გავუსწრო და დიდი პრიზი ავიღო. – გვითხრა ლუკამ.

სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა იმ დღეს რესპუბლიკის მოედანზე მოსულ 92 წლის მხეელ ვარჯიშვილს.

– ჭაბუკობისას კარგი ათლეტი ვიყავი, – გვითხრა ბაგონმა მიხეილმა, – აქტიურ სპორტს რომ ჩამოვშორდი, სხვადასხვა თანამდებობებზე ვიმუშავე. წლები რომ შემომეპარა, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესანარჩუნებლად ვიგრძენი, რომ რბენა აუცილებელია, აგერ უკვე 12 წელიწადია, კვლავ ვვარჯიშობ, მასობრივ ღონისძიებებში ვმონაწილეობ. მინდა, მთელ საქართველოს ვურჩიო – ირბინეთ და სიცოცხლეს გაიხანგრძლივებთ...

– დიდი მადლობა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სოკის თბილისის ორგანიზაციას, თბილისის მერიის სპორგის სამსახურსა და ფირმა „კოკა-კოლას“, რომლებმაც დედაქალაქეებს ასეთი კარგი ღონისძიება მოუგიწყვეს. მართალს ბრძანებს ბაგონი მიხეილი – თუ გინდათ იყოთ ჯანმრთელი და ხალისიანი, ირბინეთ, – ჩაერია საუბარში „ზღვის ლომების“ პრეზიდენტი პეტრე მაჭავრიანი, რომელმაც თავისი კლუბის წევრებიც გაგვაცნო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შექმნიდან – 1896 წლიდან მაფხულობით იმართება საერთაშორისო ოლიმპიური დღე. კვირას 3000-მდე სხვადასხვა ასაკის ქალმა და მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა ამ დღესასწაულში და ხალისიო ირბინა რეს-

პუბლიკის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე. უმეტესობამ საჩუქრად თეთრი მაისურები მიიღო, 32 გამორჩეული კი „კოკა-კოლას“ სახლოვრო პრიზებით დაჯილდოდა.

ნათია სამხარაძე,
ხათუნა სეგინაშვილი.

სურათზე: ოლიმპიური დღე რუსთაველზე.

რობერტ ბაბოიანის ფოტო.

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

რობორც კი კენჭისყრამ „ვიტ ჯორჯიას“ პირველ მეტოქედ უნგრეთის ჩემპიონატის მეთოთხმეტეადგილოსანი დაასახელა, ქართულ პრესაში ქილიკი და ოხუნჯობა ამ კლუბის სახელწოდების თაობაზე აგეგდა. როცა გასვლითი რაუნდი დავთმეთ (1:2), თავის დამშვიდება თვით ვეტერინარებმა დაიწყეს – დიდი არაფერი გუნდია, მხოლოდ ერთი მოთამამე – საბო თუ უვარგათო. საინტერესოა, საპასუხო შეხვედრამ თუ აუხილათ ნესტორ მუმლაძის შეგირდებს თვალი.

„ვიტ ჯორჯია“ – „პაპა ლომბარდი“ 0:1.

გოლი: ჰელცეგფალვი (50-ე წუთი).

გაძევება: ჰელცეგფალვი (57-ე წთ.).

მასპინძლებმა ორიოდე ხიფათი შექმნეს მადიართა კართან – შესვენებამდე რაზმაძემ ააცილა ბურთი ცარიელ ჩარჩოს, საფინალო სასტვენამდე ათიოდე წუთით აძრე კი გოჩაშვილის დარტყმის შემდეგ საქმეში ძელი ჩაერია. დაგვეთანხმებით, ძალიან ცოგაა. და ეს მაშინ, როცა სტუმრები სამჯერ გავიდნენ ბედიაშვილთან პირისპირ და ერთი შანსი გამოიყენეს კიდეც. თუ გავითვალისწინებთ, რომ გოლის ავტორი რამდენიმე წუთში მინდვრიდან გააძევეს და ნახევარ საათზე მეტი ხნის განმავლობაში რიცხობრივი უპირატესობა გვქონდა, საქართველოს ექსჩემპიონთა უსუსურობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება. ძალიანაც არ ვუსურს, სეზონის სტარგზე მწარე ეპითეტებით შევამკოთ თანამემამულენი, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუვალთ – ასეთი „თამაშით“ ევროტურნირებზე არაფერი გვესაქმება!

დანარჩენი შედეგები: „ლისბურნი“ – **„ჟალგირისი“** 0:1 (0:1), **„გიოტებორგი“** – „როსპორტი“ 3:1 (2:1), „სილექსი“ – **„ბეიფთარი“** 1:2 (3:4), **„ქსამაქსი“** – „არარატი“ 6:0 (3:1), **„ბენტგი“** – „ბოპემიანსი“ 3:1 (0:1), **„შგურმი“** – „რეინჯერსი“ 5:0 (1:1), **„ბუდუწნოსტი“** – „ვალეგა“ 2:2 (5:0), **„ლენი“** – „კარვანი“ 2:0 (2:1), **„ლოკერენი“** – „ტრანსი“ 0:1 (2:0), **„ბოგონი“** – „ტილიგული“ 6:2 (3:0), **„ვარტექსი“** – „დინამო“ 4:1 (1:2), „ლრავა“ – **„სლავენი“** 0:1 (0:1), „ვეერა“ – **„კლუფი“** 1:4 (2:3), **„ბლორიაა“** – „ოლიმპიაკოსი“ 11:0 (5:0), **„ტამპერე“** – „სკალა“ 1:0 (2:0), **„დუბნიცა“** – „ვაშაში“ 2:0 (0:0), **„დინაბურგი“** – „ბრანგორი“ 2:0 (2:1), **„ზლინი“** – „ნემანი“ 0:0 (1:0), **„პობედა“** – „სარტიდი“ 2:1 (1:0), „აკრანესი“ – **„ინტერი“** 0:4 (0:0).

კონფედერაციათა თასი. ნახევარფინალი.

ბრაზილია – გერმანია 3:2, არგენტინა – მექსიკა 1:1 (პენალტებით – 6:5). ფინალური მაგჩი ბრაზილია – არგენტინა ხვალ გაიმართება.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. არგენტინა – ესპანეთი 3:1, ნიგერია – ჰოლანდია 1:1 (პენალტებით – 10:9), ბრაზილია – გერმანია 2:1 (დამატებით დროში), მაროკო – იტალია 2:2 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 1:1). პენალტებით – 4:2. ნახევარფინალში ითამაშებენ ბრაზილია – არგენტინა, მაროკო – ნიგერია.

რუსეთი. XIII ტური. „მოსკოვი“ – „ტორპედო“ 1:1, „ალანია“ – „თერგი“ 1:0, „როსტოვი“ – „ცსკა 0:2, „სპარტაკი“ – „შინიკი“ 1:1, „დინამო“ – „ტომი“ 0:0, „ამკარი“ – „კრილია“ 1:1, „სატურნი“ – „ლოკომოტივი“ 0:0, „რუბინი“ – „ზენიტი“ 1:0.

◎ რაგბი

მესამე ადგილს დასჯერდნენ



პოლონეთის ქალაქ კრაკოვში დამთავრდა ევროპის შვიდკაცა რაგბის სერიის მე-4 ეტაპი, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის – საქართველოს ნაკრები. ბორჯღალოსნებმა A ჯგუფში უკონკურსოდ მონაწილე უკრაინის მე-2 გუნდი დაამარცხეს 31:5, შემდეგ ლატვიელებსა (19:10) და პოლონელებს სძლიეს (54:0).

ნახევარფინალში ჩვენებმა უკრაინის | ნაკრებთან დათმეს შეხვედრა 5:7. მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი ლატვიელებს ჯობეს 12:5. ფინალში უკრაინელებმა მოლდოველებს 17:7 მოუგეს და პირველ ადგილზე გავიდნენ.

მომდევნო შაბათ-კვირას ანალოგიურ შეჯიბრებას ბათუმი უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრებმა კრაკოვში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ფირფილაშვილი, კვირიკაშვილი, გუგავა, კობერიძე, ჟამუტაშვილი, ახვლედიანი, შკინინი, ელიზბარაშვილი, მალაღურაძე, კაჭარავა, მწვრთნელი – მალხაზ ჭეიშვილი.

გიორგი გაგუა.

◎ გვიმრავლოს!

ქიურის აპლოდისმენტები

ქართველი პიანისტი ანი ტაკიძე პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა

მე-20 საუკუნის უდიდესი პიანისტის – სვიატოსლავ რიხტერის | საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა მოსკოვში, ჩვენი დროის ერთ-ერთი ძალზე პრესტიჟული მუსიკალური შეჯიბრებაა.

ფრიად ავტორიტეტული ჟიურის შემადგენლობაში, სხვა გამოჩენილ მუსიკოსებთან ერთად, შედიოდა ჩვენი სახელოვანი პიანისტი ელისო ვირსალაძე (ჟიურის თავმჯდომარე არ ჰყავდა).

ს. რიხტერის სახელობის კონკურსის ერთ-ერთი გამორჩეული თავისებურება ის გახლავთ, რომ მასში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პიანისტს, დაწყებული 23 წლით და „ზემოთა“ ასაკური ზღვარის შეუზღუდავად.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა რამდენიმე თვით ადრე დაიწყო მონაწილეთა შერჩევა, რაც ხდებოდა კონკურსანტების მიერ გაგზავნილი ვიდეოჩანაწერების ანალიზის საფუძველზე.

საბოლოოდ, 113 პრეტენდენტიდან შეირჩა 34 პიანისტი, მათ შორის, ცხადია, ანი გაკიძეც (უკვე ეს რაღაცას ნიშნავდა!), რომელთაც ელოდათ ძალზე რთული გამოცდა სამ ტურად.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი კონკურსანტის – ერთადერთი ქართველის (!) – ა. გაკიძის შესახებ.

იგი დაიბადა (1973) მუსიკოსთა ოჯახში. მამამისი – კონსერვატორიის პროფესორი, ცნობილი დირიჟორი რევაზ გაკიძეა, დედა – ქ-ნი ლალი – აგრეთვე კონსერვატორიის პიანისტ-კონცერტმაისტერია. თბილისის კონსერვატორია ანიმ პროფესორ ნანა ხუციშვილთან დაამთავრა (1996) და შემდეგ მასთანვე გაიარა ასპირანტურაც.

ანიმ ითვითვე მიიპყრო ყურადღება, როგორც კულტურულმა, დახვეწილმა ახალგაზრდა მუსიკოსმა, რომლის დაკვრაშიც მკაფიოდ შეიგრძნობოდა ინტელექტუალური საწყისი, მხატვრული გემოვნება. დღესაც კარგად მახსოვს ბეთჰოვენის, შუბერტის, ბრამსის, რაველისა და სხვათა ნაწარმოებების შთაგონებული შესრულება. იგრძნობოდა, რომ მას კიდევ დიდი პოტენციური მარაგი ჰქონდა შემდგომი შემოქმედებითი ზრდისა და სრულყოფისათვის.

მართლაც, 2002 წლის შემოდგომაზე ნიჭიერმა პიანისტმა საკონკურსო შეჯიბრში უფლება მოიპოვა გაეგრძელებინა სწავლა ქ. მიუნხენის „მუსიკის უმაღლეს სკოლაში“ („ჰოპ შულე“), სადაც იგი პროფესორ ფრანც მასნგერის კლასში ჩაირიცხა. ამ პერიოდში ანიმ თბილისშიც გამართა კონცერტი, რამაც მის შემდგომ წინსვლასა და დოსტატებაში დაგვარწმუნა.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ახალგაზრდა პიანისტი მზად იყო კიდევ უფრო დიდი შემოქმედებითი წარმატებების მიღწევისათვის და აი, ეს დღეც დადგა: მოსკოვი, კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 2005 წლის ივნისი.

კენჭისყრით ანის მეორე დღეს მოუწია დაკვრა. მან ნამდვილი შთაგონებით დაუკრა ბეთჰოვენის 32-ე სონატა, ბრამსის 8 პიესა (თხზ. 76) და შოპენის ფანტაზია, რითაც მკაცრი და მომთხოვნი ჟიურის აპლოდისმენტები დაიმსახურა, რაც, მოგეხსენებათ, არცთუ ხშირად ხდება. შედეგიც შესაბამისი იყო: ქართველი პიანისტი დაუშვეს შეჯიბრების მეორე ტურში დანარჩენ 12 მონაწილესთან ერთად.

მეორე ტურში ანიმ ჩინებულად შეასრულა შუბერტის „მუსიკალური მომენტები“, რაველის სონატინა, ლიგეტის ორი ეტიუდი („ვადახლართული კლავიშები“ და „ცისარტყელა“), პროკოფიევის მე-9 სონატა და შოპენის მე-3 სკერცო.

არის მესამე ტური! ეს კი კონკურსის ლაურეატობის ტოლფასი იყო. მესამე ტურში ანიმ შეასრულა ბეთჰოვენის მე-4 და შოპენის მე-2 საფორტეპიანო კონცერტები და საბოლოოდ, ფინალისტებს შორის ერთადერთმა მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა (!) – ქართველმა პიანისტმა მე-5 პრემია დაიმსახურა.

მოსკოვის პრესამ მას „პუბლიკის საყვარელი (любимица) პიანისტი“ უწოდა.

ახლა ა. გაკიძე დაბრუნდება მიუნხენში, სადაც ჩააგარეს სოლო კონცერტს, ხოლო თბილისში მას შემოდგომით, ახალი საკონცერტო სეზონის გახსნისას მოვუსმენთ.

ეჭვი არ მეპარება, რომ ქართველ ქალიშვილს კიდევ უფრო დიდი წარმატებები ელის, რის გარანტიაც მის ნიჭიერებასთან ერთად, დიდი შრომისმოყვარეობა და მუსიკის სიყვარული და ერთგულებაა.

... მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზის წინ აღმართულ ფლაგშტოკზე ივნისის ნიავი კონკურსში მონაწილეთა 13 ქვეყნის დროშას აფრიალებდა. ერთი მათგანი საქართველოს ხუთჯვრიანი ალამი იყო.

გულბათ ტორაძე

საქალაქო საზოგადოება „ენისელი“
მისამართი – ყვარლის რაიონი, სოფელი ენისელი, 18 ივლისის 12 საათზე აგარებს აქციონერთა კრებას.
დღის წესრიგი:
1. ცვლილებები საზოგადოების წესდებაში.

განცხადება
სს „საქქვესადგურმშენის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 19 ივლისს, იპოლიტო-ივანოვის 12-ში მდებარე საქალაქო საზოგადოების საქალაქო დარბაზში.
დღის წესრიგი:
1. 2004 წლის წლიური ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე ვადამდელი არჩევნები.

◎ სპორტულ ორგიტაზე

„ერთი პლანეტა, ერთი ოცნება“

ასეთი იქნება 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური დევიზი, რომელსაც ჩინეთის დედაქალაქი – პეკინი უმასპინძლებს. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცმა ლიუ ჩიმ განაცხადა: „ეს სიტყვები ხორცს ასხამს მთელი ჩინელი ხალხის სწრაფვას მსოფლიოში მშვიდობისა და მომავალი თაობის ბედნიერი მომავლისკენ“.

2008 წლის ოლიმპიადის დევიზი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრმა გამოაცხადა პეკინის სტადიონზე გამართულ ზეიმზე, რომელსაც პირდაპირ ეთერში გადასცემდა ჩინეთის ტელევიზია, ხოლო Chint Mobile-მ ჩინეთში მობილური კავშირის უმსხვილესმა ოპერატორმა თავის აბონენტებს ის SMS-ის სახით დაუგზავნა გამოცხადებისთანავე.

როგორც თავის მისასალმებელ წერილში სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგე წერს, 2008 წლის ოლიმპიადის დევიზმა „აიგაცა ოლიმპიური სულისკვეთება. ოლიმპიადა ხომ მოწოდებულია სპორგის მეშვეობით განამტკიცოს მშვიდობა და თანხმობა მთელს მსოფლიოში“.

შეგახსენებთ, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა პეკინში 2005 წლის 1 იანვარს გამოაცხადა კონკურსი თამაშების ლოზუნგზე. უკვე 31 იანვრისთვის კომიტეტმა მიიღო დევიზის დაახლოებით 210 ათასი ვარიანტი, საიდანაც სოციოლოგიის, სპორგის, კულტურისა და ლინგვისტიკის სპეციალისტებმა შეარჩიეს „ერთი პლანეტა, ერთი ოცნება“.

სპორტის ახალი სახეობა

თითქმის 50 კაცი მონაწილეობდა გერმანიის პირველ ეროვნულ ჩემპიონატში... მობილური ტელეფონების ტყორცნაში. ის გაიმართა ბილეფელდში.

გაიმარჯვა 36 წლის გერმანელმა, რომელმაც თავისი ტელეფონი 77 მეტრზე სტყორცნა. ახლა ის, როგორც ქვეყნის საუკეთესო „ტელეფონომტყორცნელი“ გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც აგვისტოში ფინეთში გაიმართება.

ეს უკვე მეექვსე ჩემპიონატი იქნება. ჯერჯერობით მსოფლიო ჩემპიონია ფინელი აბონენტი, რომელმაც თავისი მობილური 82,55 მეტრზე მოისროლა.

კალათბურთი შეიყვარეს?

ეროვნული კალათბურთის ასოციაციის ახლა უკვე განვლილი სეზონის პლეი-ოფის ფინალურ სერიას ლიგის მთელ ისტორიაში მაყურებელთა რეკორდული რაოდენობა დაესწრო. „სან-ანგონიოსა“ და „დეტროიტის“ ორთაბრძოლის 7 მატჩზე 141 416 გულშემატკივარი მივიდა.

წინა მიღწევა 138 357 კაცს ეჭირიდა და ის 1999 წელს დამყარდა, მაშინ „სან-ანგონიომ“ მოუგო „ნიუიორკს“.

ფინალურ სტადიაში მაყურებელთა გაიქცევებით შესაძლებელი გახდა ერთ სეზონში დასწრების რეკორდის დამყარებაც. წლეულს რეგულარული ჩემპიონატისა და პლეი-ოფის მატჩებს დაესწრო 22 მილიონ 935 ათას 57 ადამიანი. აღრე ყველაზე დასწრებადი იყო 2003-04 წლების სეზონი. აღსანიშნავია ისიც, რომ პლეი-ოფის 81 შეხვედრაში არენების ტრიბუნები პირამდე იყო გადაჭედილი.

ვისა და მისი ცოლის – ვიქტორიას უთანხმოების საფუძველი. მოსალოდნელია კიდევ ერთი ასეთი საოჯახო შფოთი.

ბრიგანეთის ტელევიზიის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ვარსკვლავმა, 18 წლის ჯესიკა ლაზარდმა ამ დღეებში ძალზე შემაცბუნებელი განცხადება გააკეთა, თითქოს შეუძლია ესპანეთის უმაღლესი ლიგის 6 ფეხბურთელის დასახელება, ვისაც უგზავნიდა ეროგიკული ხასიათის SMS-შეტყობინებებს და რომ მათ შორის არის „სამეფო კლუბის“ ერთ-ერთი მოთამაშეც. თუმცა 18 წლის ქალიშვილს არც ერთის სახელი არ დაუსახელებია, ბევრმა რაგომღაც ჯესიკას თანამემამულე დევიდ ბექჰემზე მიიგანა ეჭვი.

შესაძლოა, ცოლის ღალატში ამხილონ

ალბათ გახსოვთ, დევიდ ბექჰემთან ინგლისური კავშირის თაობაზე ლამაზმანების საჯარო განცხადებები მრავალჯერ გამხდარა ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლა-

№ 151. სამშაბათი. 28 ივნისი. 2005 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

საირმეში დასვენებისას. მარცხნიდან – ამირან მექვაბიშვილი, თეიმურაზ იოსელიანი, ქეთევან იოსელიანი, რამაზ ფურცელაძე.
1990 წელი.

მოგვაწოდა შოთა თოიძემ.

გიხარიან!

უკვე ორი შვილის მამა ვარ

შარშანწინ პირველი შვილი თქვენმა გაჩვენთა მომილოცა. ამ დღეებში ჩემმა მეულლემ ციცინომ მეორე შვილის მამა გამხადა. პირველი ქალიშვილი იყო – სოფო, მეორე ვაჟია და ლევანი დავარქვით.

დედა-შვილი სამშობიარო სახლიდან შინ ჯანმრთელები გამოვიყვანეთ. გაიხარეს ჩემმა მშობლებმა და ახლობლებმა, ჩემი ოჯახის კეთილისმსურველმა ადამიანებმა. შვილებს ღირსეულ ადამიანებად გავაზრდიდი, უფალი წყალობდეს ჩემს ოჯახს.

ოთარ შავიშვილი.
ბათუმი.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-

ცოტაც გავიღიმოთ...

სტუდენტები – ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მეცნიერების ზედაპირზე ცურავენ და წელიწადში ორჯერ მის სიღრმეში ყვინთავენ კიდეც.

* * *

– **ამბობენ,** რომ ჯანმრთელობისთვის ფეხშიშველი სიარული ყოფილა კარგი.

– მართალია. თუ დილით ფეხსაცმელებით გავიღვიძე, თავი საშინლად მტკივა.

* * *

ჯარისკაცის წერილიდან: „დედიჯან, ოცი წელიწადი ტყუილად დაგიკარგავს იმისთვის, რომ გესწავლებინა ძილის წინ გახდილი ტანსაცმლის მილაგება, დასაძინებლად ადრე დაწოლა და დილით ადრე ადგომა, საუზმის ნორმალურად ჭამა, ფეხსაცმლის გაწმენდა. ყველაფერი ეს ჯარში სულ ორ კვირაში მასწავლეს. გკოცნი. შენი მიხო“.

* * *

– **უბრალოდ** საინტერესოა, როგორ ახერხებთ, რომ თქვენი ატელიეს ფოტოსურათებზე ყველა ასე ბუნებრივად იცინის?

– ასე არ გაგიკვირდებოდათ, რომ იცოდეთ, როგორ გამოიყურება ჩვენი ფოტოგრაფი.

* * *

ახალგაზდა მსახიობს პირველად მისცეს მთავარი როლი. ეკითხება ძველ, გამოცდილ მსახიობს:

– მთელი პირველი აქტის განმავლობაში გალეწილი მთვრალის როლი უნდა ვითამაშო. ძალიან ვნერვიულობ. რას მირჩევდით?

– ეს სულაც არ არის ძნელი. ჩადით ბუფეტში, 200 ან 300 გრამი კონიაკი დაურტყით და...

– მაგრამ საქმე ის არის, რომ მეორე აქტში ჩემი გმირი აბსოლუტურად ფხიზელია...

– ოო, მაშინ, ჩემო ძვირფასო, უკვე ტალანტი და ოსტატობაა საჭირო!

ორი ებრაელი ქორწილში მიდის. ორივეს კონვერტი უჭირავს. ერთი ეკითხება:

– სოლომონ ლაზარიჩ, რა ჩადეთ კონვერტში?

– რაო, თქვენი აზრით, თვით კონვერტი არაფერი ღირს?

* * *

თუ ქალი გეუბნება, რომ სძულხარ, ესე იგი, უყვარხარ, უბრალოდ, შენ ჯორი ხარ!

თითქმის ნატურიდან

წრუწუნები

გუშინ შას „წრუწუნას“ დამფუძნებელ პარგნიორთა მორიგი კრება გაიმართა, მომხსენებელმა წრუწუნამ, რომელსაც თავი სხვებისგან გამორჩეულად ეჭირა, ქვეყანაში შექმნილი მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მიმოიხილა და ყველაფერში ხელისუფლება დაადანაშაულა.

– ძალიან ვიჩაგრებით, ძალიან, – აკრუსუნდა სკამქვეშ შემძვრალი მოვარდისფრო, ნახევრად კუდმოწყვეტილი წრუწუნა, – ასე თუ გაგრძელდა ახალ რევოლუციას ნამდვილად ვერ გადავურჩებით.

– რევოლუცია რა წრუწუნების საქმეა, – დატუქსა კრების თავმჯდომარემ, – შენ ის გირჩევნია, სკამზე კაცურად დაჯდე და ჩვენს შინაურ გასაჭირზე ილაპარაკო.

– მაცალეთ, ბაგონო, მაცალეთ და ვიტყვი, – ცოტა არ იყოს, გული მოუვიდა უკვე ნაცრისფერში გადასულ კუდალას, – ხომ ხედავთ, ამდენი გაჭირვებისგან თაგვის ფერი აღარ მაღევს.

– მერე მაგის გამო თავს ხომ არ მოვიკლავთ, – გაამხნევა გვერდით მჯდომმა დამფუძნებელმა, – თქვი რა გასაჭირი გაქვს და მოგეხმარებით.

– აბა რაღას მომეხმარებით, ბიზნესი უკვე ჩამეშალა.

– რა ბიზნესი? – თავები წამოყვეს აქეთ-იქიდან პარგნიორმა წრუწუნებმა.

– რესტორან „კაკანატუნაში“ პაგარა სორო მქონდა გახსნილი, ვიჯექი მთელ ღამეს და მოქეიფეთაგან მოპარულ თხილსა და კაკალს ვაკანატუნებდი.

– გეკანატუნებინა, შე კაცო, ვინ დაგიშალა?

– ვიღაც ნიღბოსნები შემოცვივდნენ იარაღით, შემეშინდა და გამოვიქეცი.

– თუ იცი, ეგ კაკლები და თხილები, შენ რომ აკანატუნებდი, კომპიუტერში იყო შეყვანილი?

– აბა რას ამბობთ, კომპიუტერი იმ ვიწრო სოროში როგორ შემოეტეოდა!

– ტყუილად გამოქცეულხარ, ისინი შენ კაკლებს კი არა, კომპიუტერულ პროგრამას ეძებდნენ, – აუხსნეს დამფუძნებლებმა.

– რა ვიცოდი, ყველა გარბოდა და მეც გავიქეცი.

– შენც აღექი და ისევ დაბრუნდი.

– მივბრუნდი, მაგრამ უარი მტკიცეს – შტატების შემცირებაში მოყევიო.

– განა რამდენი წლისა ხარ? – დაინტერესდა ხანდაზმული წრუწუნა.

– ორმოცს ახლახან გადავაბიჯე.

– ჰოდა, აბა რაღას კრუსუნებ, საპენსიო ასაკი გქონია.

– ჰო, მაგრამ, რომ დავინვალიდდი, ამის კომპენსაციას ვინ მომცემს?

– კომპენსაციას შენ კი არა, სახლკარწაღებულებს არ აძლევენ, მაინც რა დაგემართა?

– „კაკანატუნადან“ თავქუდმოგლეჯილი რომ გამოვვარდი, ახლად ასფალტდაგებულ ქუჩაზე გადავირბინე და ფეხები დამეწვა.

– რა ვიცი, – თქვა თავმჯდომარემ, – ჭიაბერაშვილი სულ ცხელ ასფალტზე დარბის, მაგრამ ფეხები ერთხელაც არ დასწვია.

– ეგ მიჩვეულია, თანაც სირბილის დროს ჩექმები აცვია.

– ბენდუქიძეს?

– გეშლებათ, იმას ფეხსაცმელი კი არა, წინდები არ აცვია.

– რაგომ, ფული არა აქვს?

– ფული კი აქვს, მაგრამ მოსამსახურე არა ჰყავს, თავად კიდევ ვერ იღუნება.

– ხი, ხი, ხი... – ხითხითებენ წრუწუნები.

– სახითხითოდ გვაქვს საქმე? – წამოენთო შავტუხა წრუწუნა, – აგე გუშინ გლდანის ნაგავსაყრელზე ღორები დააპაგიმრეს, თუ ფრთხილად არ ვიქნებით, მალე ჩვენც მოგვდგებიან.

– დააპაგიმრეს კი არა, დაიჭირეს, – გაუწორა ქერა წრუწუნამ.

– რა ვიცი, ტელევიზორში ეგრე თქვეს და...

– ერთი მაგათაც იციან ქართული... ღორები რომ დაეპატიმრებინათ, ხომ ვეღარ დაკლავდნენ?

– სწორი ხარ, – კვერი დაუკრა თავმჯდომარემ, – პაგიმარს დაკლავ კი არა, თითი თუ დააკარე, ეგრევე ევროპარლამენტში გიჩივლებენ.

– ჰო, პაგიმრის უფლებებს მაგრად იცავენ, ჩვენ კი აბუჩად გვიგდებენ. ამას წინაა მემობელი შას-ის ტელეგში დავაპირე შესვლა. ვინ შემიშვა, იგი პრივატიზებული და კარჩაკეტილი დამხვდა. ბევრი ვიწრუწუნე, მაგრამ კუდიც არ შემაყოფინეს, ვიღაც კაფანდარა ქალმა ჭიტლაყი მიჭირა და გამომაგდო!

– აბა ეს არის სამართალი? – აღშფოთდნენ კრების მონაწილენი.

– სხვა გამოსავალი არ არის, აღვოკატი უნდა ავიყვანოთ, – წინადადება წამოაყენა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა.

– აღვოკატს ისევ მაესტრო სჯობია, – თქვა მეორემ.

– მაესტრო რა, ოპერაში ხომ არა ვართ?

– მერე რა, ის მართლა მაესტრო კი არა, ჩვენსავით წრუწუნა იქნება, მაგრამ გაიბღინძება, სხვებს ნამდვილი მაესტრო ეგონებათ და რიდით მოგვეკიდებიან.

– მერე როგორ ავირჩიოთ, პირდაპირი წესით?

– პირდაპირით არ ივარგებს, – თქვა წინა რიგში წამოწოლილმა წრუწუნამ, – ჩვენი მაესტრო უეჭველად კაცი უნდა იყოს.

– შენ რა ბოკერიასავით გველაპარაკები, – გული მოუვიდა წუნას (წრუწუნებში აღიარებულ ავტორიტეტს) და გასარტყმელად გაიწია.

ატყდა ერთი აურზაური და ცემატყეპა, რომლის დროსაც ორი წრუწუნა აღგილზევე დაიღუპა, ხოლო სამი რეანიმაციაში მოხვდა.

მეტი რა გზა იყო, კრება სექტემბრისთვის გადაიდო. მასზე მაესტროს აირჩევენ და შას „წრუწუნას“ ევროკავშირში გაერთიანების შესაძლო ვარიანტს განიხილავენ.

ოთარ ხუციშვილი.

ბორჯომიდან – ბათუმში

როცა ასეთი სიყვარულია...

ლიანა ისაკაძემ ახალი გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრი შეადგინა

წლეულს ბორჯომის რიგით მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი „ხელოვნების ზეიმი“, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ბათუმს ეწვევა. ასე გადაწყვიტა „ლიანა ისაკაძის ფონდმა – ხელოვნების კაპიტალმა“ იმის გამო, რომ ფესტივალის საბაზო კოლექტივის – საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის ყოფნა-არყოფნის ბედი დიდხანს გაურკვეველი იყო. მხოლოდ აპრილის ბოლოს გახდა ცნობილი რომ იგი ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაერთიანდა, მაგრამ რაღა დროს, ორკესტრი ფაქტობრივად უკვე განახევრებული იყო. გაურკვეველი მდგომარეობის გამო მუსიკოსებმა საკუთარ ბედზე თავად აღრევე იზრუნეს, კონკურსზე იმარჯვეს და შეავსეს თბილისის ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი.

იმისათვის, რომ არ ჩაშლილიყო ფესტივალი ლიანა ისაკაძემ თავის სამეგობროდან, გერმანიის სხვადასხვა ქალაქიდან შეარჩია 12 მაღალი რანგის მუსიკოსი და რვა ქართველ მუსიკოსთან ერთად შეადგინა ახალი გერმანულ-ქართული ორკესტრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც და მთავარი დირიჟორიც თავად იქნება. დირექტორად კი მოიწვია გერმანიაშივე მოღვაწე ახალგაზრდა მუსიკოსი იური გილბო. ახალი ორკესტრი ლიანა ისაკაძემ მიუხედავად ბახის სამმაგი კონცერტი. უცხოელ ვირტუოზებს შეუერთდება პაგარა ქართველი ვირტუოზი პიანისტი ირმა გიგანიე.

საფესტივალო აფიშას კვლავაც დაამშვენებს ლიტველი ჯაზისტი – დრამი ელადიმერ გარასოვი. ლიანა ისაკაძის მუსიკალური ხუმრობა ამჯერად გაცხადდება პაგანინის თხზულებით, რომელიც ვიოლინოს, ორკესტრისა და ჯაზ-დრამისთვის თავადვე გადაამუშავა.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ხსოვნა

გიორგი ალექსიძე



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ესტატეს ძე ალექსიძე.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი წარმატებით მოღვაწეობდა მთელ რიგ აგრობიოლოგიურ სახელმწიფო დაწესებულებებში. 1941 წელს ის მოხალისედ წავიდა სამამულო ომში, 1945 წელს დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-სამეცნიერო ფაკულტეტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, კათედრის გამგედ, დეკანისა და პრორექტორის თანამდებობაზე, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგედ, დეკანის თანამდებობაზე, ზონალურ აგროქიმიურ სადგურში, ლაბორატორიის გამგედ.

იგი ყოველთვის დიდი პაგივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა თანამშრომელთა შორის. პროფ. გ. ალექსიძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და პრაქტიკული სახელმძღვანელოს ავტორია მეაბრეშუმეობის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები საქართველოში თუთის ჯიშების დარაიონებასა და თუთის ფოთლის კვებითი ღირებულების შესწავლის საქმეში. მისი ავტორობით გამოცემული სქელტანიანი ნაშრომები: „კიტრისა და პამიდვრის მოყვანა ზამთრის შემინულ ნიადაგურ და ჰიდროპონიკურ სათბურებში“ (1986) და „ცხოველთა კვების ნორმების შესახებ“ სამაგიდო წიგნები გახდა. სამამულო ომში მონაწილეობისა და სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიურ საქმიანობაში დიდი დამსახურებისათვის გ. ალექსიძე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით: ლენინის ორდენი, წითელი ვარსკვლავის (2), შრომის წითელი დროშის, საბრძოლო მამაცობისათვის, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის, სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, ღირსების ორდენითა და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის თანამშრომლები გულწრფელი პაგივისცემითა და დიდი სიყვარულით მოიხსენიებენ მათ მეგობარსა და კოლეგას პროფესორ გიორგი ალექსიძეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, მეაბრეშუმეობის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს მეაბრეშუმეობის საპორრდინაციო ცენტრი.

დარეჯან მირცხულავა

გარდაიცვალა ბავშვთა №10 პოლიკლინიკის სტომატოლოგი **დარეჯან მირცხულავა.** იგი წლების განმავლობაში ერთგულად, კეთილსინდისიერად, უანგაროდ ემსახურებოდა ბავშვთა ჯანმრთელობას, რომ არა ვერაგი დაავადება, რომელმაც უდროოდ ათქმევინა უარი თავის უსაყვარლეს პროფესიაზე. სიცოცხლის ბოლო წლებში მხედველობის დაკარგვა მისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო, რაღაა ჩემი სიცოცხლეო, – იტყოდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული. მსუბუქი იყოს თქვენთვის საქართველოს მიწა.

ბავშვთა №10 პოლიკლინიკის თანამშრომლები.

თბილისის ა. გოცირიძის სახელობის ფსიქონევროლოგიური დისპანსერისა და სპეციალიზებული ფსიქიატრიული სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ბიუროს უფროსს, ქალბატონ მალვინა ლორიას მეუღლის

შალვა ელიავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სოციალური დაზღვევისა და ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ფილიალი სამძიმარს უცხადებს სვეტა და გურამ ჯაბუებს დედის

მარიამ ქაჯაიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია იუწყება, რომ ფედერაციის გამგეობის წევრს, ბაგონ ნუგზარ მგელაძეს გარდაეცვალა მეუღლე

თამარ მგელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ სამძიმარს უცხადებს ბაგონ ნუგზარ მგელაძეს მეუღლის

თამარ მგელაძის

გარდაცვალების გამო.

ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიგარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიგარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შსამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

ამინდი

28 ივნისი	☼	)
თბილისი	30°	18°
ბათუმი	27°	17°
სოხუმი	25°	15°
ქუთაისი	26°	17°
თელავი	31°	17°

ლარის კურსი

28 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლ. გირვ. სტერ.	1	3.3161 ლ.
აშშ დოლარი	1	1.8150 ლ.
ევრო	1	2.2055 ლ.
რუსული რუბლი	1	0.0635 ლ.
აზერბაიჯ. მან.	1000	0.3848 ლ.
სომხური დრამი	100	0.4079 ლ.
უკრაინული გრივ.	10	3.6036 ლ.

დღის კალენდარი 28 ივნისისთვის

☼)
ამოდის 04.27 ამოდის 23.58
ჩადის 19.40 ჩადის 11.40

წლის 179-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 186 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება წმიდა წინასწარმეტყველისა ამოსისა (VIII ს. ქრისტეს შობამდე). წმიდა მოწამეთა: ვიტე, მოდესტოს და კრისკენტია მზრდელისა (303); თეოდორე სიკეოტისა – ანასტასიოპოლელ ეპისკოპოსისა (დაახლ. IX); წმიდა ეფრემისა, სერბიის პატრიარქისა (XIV); მოწამე დულე ეგვიპტელისა, ნეტარი იერონიმე სტრიდონელისა. ნეტარი ავგუსტინესი (430).

დაიბადნენ:

1476 – ჯორჯონე (ჯორჯო ბარბარელი და კასტელფრანკო), დიდი იტალიელი მხატვარი, ფერმწერი, აღორძინების პერიოდის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1510 წელს.

1577 – პიტერ პაულ რუბენსი, ფლამანდიელი მხატვარი, მოღვაწეობდა ანტვერპენსა და იტალიაში. გარდაიცვალა 1640 წელს.

1712 – ჟან ჟაკ რუსო, ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1778 წელს.

1867 – ლუიჯი პირანდელო, იტალიელი მწერალი და დრამატურგი. ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1936 წელს.

1883 – ნოე ჩხიკვაძე, პოეტი. გარდაიცვალა 1920 წელს.

1888 – ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი, ეროვნული გმირი, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების მეთაური. გარდაიცვალა პარიზში 1930 წელს.

გარდაიცვალნენ:

1836 – ჯეიმს მედისონი, აშშ-ს მე-4 პრეზიდენტი.

1992 – მიხაილ ტალი, ჭადრაკში მერვე მსოფლიო ჩემპიონი.

მედიანიუსი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყოს 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიები ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK